ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მისცემენ თუ არა სიტყვას მარგველაშვილს გაეროს ასამბლეაზე?!

გვ.2



ხუთშაბათი, 20 აგვისტო, 2015

1194 (6814)

აფცბ5 №) სტსჰბ

# თორნიკე ნადირაძე: ბრალდებულებს ზურაბ ქვანიას გადარჩენა შეეძლოთ“





გვ.3



პირადი დაცვის თანამშრომლებმა მკაცრად გაწერილი ვალდებულებები დაარღვიეს

ქვანია 00:00 საათზე მივიდა ბინაში, იგი გარდაცვლილი ნახეს, 03:30 საათზე. შუალედში სად წავიდა, რა მოხდა და როგორ გარდაიცვალა, ეს ძიების პროცესშია.

# საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების ნავთობგადამამუშავებლის აშენება იგეგმება?!

გვ.6

## საქართველოს საჰაერო სივრცეში რუსული ვერტმფრენი გამოჩნდა

საქართველოს საჰაერო სივრცეში რუსული ვერტმფრენი გამოჩნდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, სამხედრო ვერტმფრენმა ოკუპირებული ცხინვალიდან საოკუპაციო ზოლი გადმოკვეთა და გორის რაიონის სოფლების გავლით ახალგორის მიმართულებით გაფრინდა.

გორის რაიონის სოფლების, ბუზუტიანთკარის და მერეთის მოსახლეობის ინფორმაციით, რუსულმა ვერტმფრენმა ცხინვალის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოკვეთა საოკუპაციო ზოლი და ახალგორის მიმართულებით გაფრინდა.

ინტერპრესნიუსი



ISSN 1987-9385



## საქართველოში ბიზნესის განვითარება გაბედულმა ადამიანებმა უნდა შექმნონ“

გვ.6





## ირაკლი სესიაშვილი: რუსეთი რთულ ვითარებაშია“

გვ.5

# მისცემენ თუ არა სიტყვას მარგველაშვილს გაეროს ასამბლეაზე?!

**საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო წვრთნების გამო, გიორგი მარგველაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს. საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოხატავს. 19 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა, თენგიზ ფხალაძემ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო თანამეგობრობას ამ წვრთნების შეფასებისა და მასზე რეაგირებისთვის მიმართავს.**



## საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს




**თენგიზ ფხალაძე:**

— ორიოდე დღის წინ რუსეთის ფედერაციამ დაიწყო სამხედრო მანევრები, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი გამოხატავს შეშფოთებას. ეს არის ყოვლად დაუშვებელი ფაქტი. ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას აღნიშნულის შეფასებისთვის და მასზე რეაგირებისთვის, — განაცხადა ფხალაძემ.

◆ ◆ ◆

— კარგი იქნებოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტს საშუალება მისცემოდა, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსულიყო, — ამის შესახებ საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა, თენგიზ ფხალაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**თენგიზ ფხალაძე:**

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 29 სექტემბერს ნიუ იორკში იმართება მაღალი დონის დისკუსია, რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ ევროპის მომავალს და ქალთა როლის გაძლიერებას.

ეს არის მაღალი დონის ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სხვა რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტი. იცით, რომ პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. 2015 წელი გამოცხადებულია ქალთა წლად, აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია მისი მიწვევა ამ ღონისძიებაზე და საქართველოს პრეზიდენტს დადასტურებული აქვს ამ ღონისძიებაზე დასწრება.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ყოფნა იქნება მაქსიმალურად გამოყენებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაღრმავებისთვის, იგეგმება რიგი შეხვედრები.

— იქიდან გამომდინარე, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტის ავტორიტეტი, მიმდინარეობს მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ყოფნა იქნება მაქსიმალურად გამოყენებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაღრმავებისთვის, იგეგმება რიგი შეხვედრები პოლიტიკურ წრეებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, — განაცხადა ფხალაძემ.

რაც შეეხება გაერო-ს თემას, ფხალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არის ერთადერთი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც პირდაპირი წესით, საერთო სახალხო არჩევნებით აირჩევა; აქედან გამომდინარე, ასევე მისი მაღალი ავტორიტეტიდან გამომდინარე, საერთაშორისო არენაზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის ავტორიტეტი მაქსიმალურად იყოს გამოყენებული.

**თენგიზ ფხალაძე:**

— რადგან პრეზიდენტი იმ პერიოდში არის აშშ-ში, როდესაც იხსნება გაერო-ს გენასამბლეის გენერალური დებატები, კარგი იქნებოდა, რომ მას საშუალება მისცემოდა და გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსულიყო. როგორც წესი, პატარა ქვეყნები იყენებენ ამ შესაძლებლობას იმ ფაქტორების გამოც, რაც მოგახსენეთ; ასევე იმის გამოც, რომ გაერო-ში არის ტრადიციები, წესები — როდესაც იხსნება გენერალური დებატები, პირველ რიგში, სიტყვით გამოდიან სახელმწიფოების მეთაურები, ამის შემდეგ გამოდიან მთავრობის მეთაურები და სხვა წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, პატარა ქვეყნები და ზოგადად სახელმწიფოები ცდილობენ, ეს საშუალება მაქსიმალურად გამოიყენონ, რათა უფრო აქტუალურ ფორმატში იყოს წარმოჩენილი ის პრობლემატიკა, რომელზედაც სურს საუბარი დელეგაციის ხელმძღვანელს.

მისივე თქმით, აღნიშნული პოზიცია ცნობილი და გაცხადებულია როგორც კონსულტაციების რეჟიმში, ასევე საჯაროდაც.

— სამწუხაროდ, ეს პოზიცია ჯერ დღეისთვის გაზიარებული არ არის, თუმცა გაერო-ს გენერალურ დებატებამდე ერთი თვეა დარჩენილი და კარგი იქნება, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს პოზიცია იქნება გაზიარებული, — განაცხადა ფხალაძემ.

ინტერპრესნიუსი

# შსს–მ ნარკოტრანზიტის ახალი მარშრუტი გამოავლინა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტრანზიტების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკების ტრანზიტის ახალი მარშრუტი გამოავლინეს, რის საფუძველზეც, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის და უკანონოდ შენახვის ბრალდებით, 4 პირი: ბრაზილიის ფედერაციის 2 მოქალაქე — 1979 წელს დაბადებული დე სილვა კამპოს ჟ. და 1981 წელს დაბადებული ლუის კარლოს მ, 1980 წელს დაბადებული, ეკვადორის რესპუბლიკის მოქალაქე ლიზარდო პ. და 1957 წელს დაბადებული, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე ლევის გ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დე სილვა კამპოს ჟ, ლიზარდო პ, ლუის კარლოს მ. და ლევის გ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება შემოჰქონდათ. პოლიციამ დე სილვა კამპოს ჟ-სგან და ლიზარდო პ-სგან 196 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 2 კილო და 228,84 გრ კოკაინია, ხოლო ლე-



ვის გ-ს და ლუის კარლოს მ-ს ჩხრეკისას ამოღებულია 3 კილო კოკაინი.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტრანზიტების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა ქვეყნის 5 მოქალაქე დააკავეს, რომლებმაც სატრანზიტო გადაზიდვის მიზნით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში 12 კილოზე მეტი კოკაინი უკანონოდ შემოიტანეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

# შეხვედრა შსს–ში

## გიორგი მღებრიშვილი აშშ-ს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის მენეჯმენტს შეხვდა

შეხვედრაზე განიხილეს ამერიკული მხარის მიერ დაფინანსებული, განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, ხაზი გაესვა აშშ-სთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და ყურადღება გამახვილდა სუფსის საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის, როგორც უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმის, უნიკალურ შესაძლებლობებზე.



მხარეებმა ასევე ისაუბრეს სწავლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებზე, რომლის ფარგლებშიც, ამერიკასა და საქართველოში ყოველწლიურად შსს-ს ათეულებით თანამშრომელი გადის მომზადებას.

მინისტრმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის და გამოხატა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავებას.



# შსს–მ ახმეტაში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული გიორგი გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ახმეტაში, ერეკლე მეორის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1972 წელს დაბადებულ პაატა მ-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, 1974 წელს დაბადებული გივი ხ. კი დაჭრა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში პოლიციამ გადაიყვანა. მის ჯანმრთელობას ამ დროისთვის საფრთხე აღარ ემუქრება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გიორგი გ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ახმეტაში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით).

# ქობულეთში ფიზიკური დაპირისპირების დროს ოთხი ადამიანი დააკავეს

ქობულეთში ფიზიკური დაპირისპირების დროს ოთხი ადამიანი დააკავეს ქობულეთში რამდენიმე დღის წინ მომხდარი ჩხუბისას ოთხი პირი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულები სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.




ფაქტზე მიმდინარეობს ძიება 19 108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა) და 239-ე მუხლით (ხულიგნობა). უწყების ინფორმაციით, ჯგუფური ჩხუბის დროს ერთმა პირმა მეორე მსუბუქად დაჭრა.

ქობულეთში ერთმანეთს ქართველები და აზერბაიჯანელები დაუპირისპირდნენ, ყველა მათგანი საქართველოს მოქალაქეა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# თორნიკე ნადირაძე: ბრალდებულებს ზურაბ ჟვანიას გადარჩენა შეეძლოთ“

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე, ახალი ხელისუფლების პირობებში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, უკვე არსებობს ერთი გამამართლებელი განაჩენი და ერთიც გამამტყუნებელი ვერდიქტი. ექსპერტი ლევან ჩაჩუა, რომელსაც სამსახურებრივ გულგრილობას ედავებოდნენ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა და ამჟამად მისი საქმე პროკურატურას სააპელაციო სასამართლოში აქვს წარდგენილი.**

**გამტყუნდნენ ჟვანიას დაცვის ყოფილი წევრები, კობა ხარშილაძე და მიხეილ ძაძამია, რომელთა საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს. რა ეტაპზეა ყოფილი პრემიერის გარდაცვალების მთავარი საქმე და მოხდება თუ არა ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაცია, რატომ ეპარება პროკურატურას ეჭვი ჟვანიას გაზით გაგუდვის ვერსიაში, ამ საკითხებზე „ინტერპრესნიუსს“ ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საქმის პროკურორი, თორნიკე ნადირაძე ესაუბრა.**



**არსებობს რკინის პენტაკარბოლიუმი — ნივთიერება, რომლის 2 მილილიტრის მიღებაც კი, ისეთივე შედეგს იწვევს, რასაც CO-თი გარდაცვალება**

***— ბატონო თორნიკე, რამდენად კმაყოფილი ხართ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტით, რომელიც კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას მიმართ გამოიტანეს. რომ გქონდეთ საშუალება, გაასაჩივრებდით თუ არა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ამ საქმეზე ბრალდებულებს პრაქტიკულად არც ერთი დღე არ უწევთ პატიმრობაში ყოფნა?***

— ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, რამდენადაც ნაფიცმა მსაჯულებმა გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიიღეს ადეკვატური და ობიექტური გადაწყვეტილება. მათ დამნაშავედ სცნეს ორივე ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში — სამსახურებრივ გულგრილობაში, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ვფიქრობ, უპრეცენდენტოდ მნიშვნელოვანი იყო ეს გადაწყვეტილება, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში კობა ხარშილაძე და მიხეილ ძაძამია ამტკიცებდნენ, რომ მათი ბრალეულობა საქმეში არ არსებობდა. გარდა ამისა, სამართლებრივი საფუძვლების მიღმა, მორალურადაც გაუმართლებელი იყო მათი მოქმედება, რადგან ისინი მანიპულირებდნენ, ჟვანიას პირადი ცხოვრების დეტალების გამოაშკარავებით ნაფიც მსაჯულებზე ზემოქმედების გზით, ცდილობდნენ, მიეღოთ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, მაგრამ ნათლად გამოჩნდა, რომ სწორედ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიღეს ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება.

რაც შეეხება შეკითხვას, გავასაჩივრებდით თუ არა ამ გადაწყვეტილებას, ჩვენ პატივს ვცემთ ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ბრალდების მხარის მთავარი მიზანია, მიაღწიოს იმას, რომ მიღებულ იქნას გამამტყუნებელი გადაწყვეტილება კონკრეტული პირის მიმართ, რაც ბრალდების მხარეს სწორად მიაჩნია. შესაბამისად, რომც იყოს ამის შესაძლებლობა, ბრალდების მხარე ამ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებდა.

***— პროკურატურა აგრძელებს ძიებას ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზების დასადგენად, თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის მიხედვით, ჟვანიას გარდაცვალება ხარშილაძის და ძაძამიას გულგრილობამ გამოიწვია. რას იძიებს პროკურატურა დამატებით და მიღებულმა ვერდიქტმა მიმდინარე გამოძიებაზე როგორ იმოქმედა?***

— გამოძიება ერთი კონკრეტული მიმართულებით არ მუშაობს, მუშაობს ყველა მიმართულებებით, რათა ობიექტური გარემოებები დადგინდეს. ის, რომ დაცვის წევრების გულგრილობის შედეგია გარდაცვალება, არ მიუთითებს, რომ, პირობითად, მოკლულია პრემიერ-მინისტრი ან ვთქვათ, გაზით გაიგუდა. ამ მიმართულებით სხვადასხვა მხრიდან მიდის გამოძიება, რათა დადგინდეს რეალური მიზეზი — რის გამო გარდაიცვალა პრემიერ-მინისტრი. აქედან გამომდინარე, გამამტყუნებელი ვერდიქტი ხელს არ შეუშლის და რაიმე წინააღმდეგობაში არ იქნება ძირითად საქმესთან, რადგან აქ საუბარია შემდეგზე — პირადი დაცვის თანამშრომლებმა მკაცრად გაწერილი ვალდებულებები დაარღვიეს. ისინი რომ ადგილზე ყოფილიყვნენ, შესაბამის მოსალოდნელ შედეგს გარდაცვალების კუთხით თავიდან აიცილებდნენ. გამოძიება აქტიურად გაგრძელდება და სავარაუდოდ, მომავალში დადგინდება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზი.

***— თუმცა, სასამართლო განხილვების დროს, სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლების მიმართ, რომლებიც მოწმის სახით დაკითხეთ, ბინაში არსებული გამათბობლის შემოწმების ვალდებულებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ისმებოდა. რატომ სვამდით ამ შეკითხვებს, თუ კი საქმე არ მიდის უბედურ შემთხვევამდე?***

— დაცვის მხარე აპელირებდა და მთელი ამ პროცესების განმავლობაში მიუთითებდა, რომ ეს ადამიანი გარდაცვლილია ჩ-თი, მაგრამ ბრალდების მხარეს ჰქონდა საფუძვლიანი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პოზიცია გარკვეულწილად ეჭვქვეშ დამდგარიყო.

მე შემიძლია, მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალითი — მოწმე ნუგზარ ბელქანიას ჩვენება არის მნიშვნელოვანი, რომელიც მიუთითებს, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც გამათბობელი არასრულად მუშაობს და არასრული წვა მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში მილებზე ჩნდება მურის კვალი, იმ შემთხვევაში თუ მურის კვალი ჩნდება, ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ გამათბობელი არის გაუმართავი. შესაბამისად, არსებობს რისკი, გამოიყოს CO. ამ გამათბობელზე კი, რომელიც იმ ბინაში იყო, სადაც ჟვანია და უსუპოვი გარდაცვლილები იპოვეს, ნუგზარ ბელქანიას ჩვენებით, მურის კვალი არ იყო და სრულფასოვნად მუშაობდა. ამასთან, არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომელიც ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად გაიზიარა ბრალდების მხარემ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ გამათბობლით მოწამვლა კიდევ ერთხელ

**იმ ბინაში, სადაც ჟვანია და უსუპოვი გარდაცვლილები იპოვეს, ნუგზარ ბელქანიას ჩვენებით, მურის კვალი არ იყო**

დადგა ეჭვქვეშ. თეორიულადაც რომ დავუშვათ, ეს ადამიანი CO-თი იყო მოწამლული, ამ შემთხვევაშიც კი, ისევ და ისევ მივდივართ აღნიშნული პირების ბრალეულობასთან და ეს სწორად გაიზიარეს და შეაფასეს ნაფიცმა მსაჯულებმა.

თეორიული შესაძლებლობაც რომ იყოს, რომ CO-ს მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა ეს ადამიანი, სწორი გათვლების და წინდახედულობის შემთხვევაში, ბრალდებულებს ზურაბ ჟვანიას გადარჩენა შეეძლოთ.

***— რა წერია FBI-ს დასკვნაში? ადვოკატებისგან ვიცით, რომ ამ დასკვნაშიც ყოფილი პრემიერის გარდაცვალების მიზეზად გაზით გაგუდვა სახელდება. თქვენი აზრით, არ ამყარებს გაზით გაგუდვის ვერსიას ეს დასკვნა?***

— FBI-ს დასკვნები მრავალი მიმართულებით არის განხორციელებული. რაულ უსუპოვისა და ზურაბ ჟვანიას ორგანიზმში CO-ს არსებობასთან დაკავშირებით დასკვნაში მითითება არის, რომ ორივეს ორგანიზმში აღმოჩენილ იქნა CO-ს კვალი, თუმცა ეს პირდაპირ არ მიუთითებს იმაზე, რომ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი კონკრეტულად „ნიკალას“ გამონაბოლქვის შედეგად გარდაიცვალნენ. დასკვნაში წერია, რომ 50%-თ ამ ნივთიერების ორგანიზმში არსებობა იწვევს ფატალურ შედეგს, ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის სისხლში ეს ნივთიერება აღმოჩენილ იქნა 72%-თ და 74%-თ. ესეც ეჭვს აღძრავს. როგორ შეიძლება გარდაცვლილი ადამიანის ორგანიზმში CO-ს ეს რაოდენობა მოხვდეს. გარდაცვლილი სუნთქავდა? როგორც ზურაბ



თორნიკე ნადირაძე

ჟვანიას დედამ, ქალბატონმა რემამაც აღნიშნა — თუ 50% უკვე სიცოცხლისთვის შეუთავსებელია, როგორ აღმოჩნდა 72% და 74%? სასიკვდილო დოზაზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა როგორც რაულ უსუპოვის, ისე ზურაბ ჟვანიას ორგანიზმში CO-ს კვალი. ეს კიდევ ერთხელ ბადებს სერიოზულ ეჭვს. გარდაცვალების შემდეგ ხომ სუნთქვა შეუძლებელია.

***— ანუ, ეს რაზე მიუთითებს, თქვენი აზრით, რაიმე ნივთიერებაა ორგანიზმში შეყვანილი?***

— ამაზე, გაგიკვირდებათ და, ისაუბრა ექსპერტმა ლევან ჩაჩუამ. არსებობს რკინის პენტაკარბოლიუმი — ნივთიერება, რომლის 2 მილილიტრის მიღებაც კი, ისეთივე შედეგს იწვევს, რასაც CO-თი გარდაცვალება. თუმცა, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩატარდა ექსპერიმენტი იგივე სახლში, იგივე „ნიკალათი“. ეს ჩაატარეს FBI-ს თანამშრომლებმა. 5 საათი გაგრძელდა ექსპერიმენტი, — გამოყოფდა თუ არა „ნიკალა“ CO-ს. აღმოჩნდა, რომ CO-ს რაოდენობა ბინაში, იყო 200-ჯერ ნაკლები იმასთან შედარებით, რაც სიცოცხლის მოსპობას იწვევს. აქედან გამომდინარე, „ნიკალა“ არ იყო სიცოცხლისთვის საშიში.

***— ქალბატონი რემაც და ოჯახის სხვა წევრები დიდი ხანია, ეჭვობენ, რომ ჟვანია და უსუპოვი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე სახლში გარდაცვლილები მიიყვანეს. ეს ექსპერიმენტი ამყარებს ამ ვერსიას?***

— მთავარი საქმე ძიების პროცესშია და ამ ეტაპზე კონკრეტულ დეტალებზე ვერ ვისაუბრებთ. რეალურად ჩვენ ბრალდებულებს ვედავებოდით იმას, რომ ისინი გულგრილად მოეკიდნენ სამსახურებრივ ვალდებულებას და ამან გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება. გარდაცვალების კონკრეტულ მიზეზებზე და გარემოებებზე საუბარი ჯერჯერობით მიზანშეუწონელია, იმ თვალსაზრისით, რომ დეტალები შეუსწავლელია და მნიშვნელოვანი ნიუანსებია გასააზრებელი ამ სისხლის სამართლის საქმეში.

***— პროცესზეც არაერთხელ თქვით და დასკვნით სიტყვაშიც, რომ ზურაბ ჟვანია მიატოვეს საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში. ეს არ გამორიცხავს ვერსიას, რომ ამ ბინაში ყოფილი პრემიერი გარდაცვლილი მიიყვანეს?***

— ამ მოცემულობით, ზურაბ ჟვანია დატოვებულ იქნა კონკრეტულ ობიექტზე და ზუსტად ამას ვედავებოდით ხარშილაძეს და ძაძამიას, მაგრამ ეს მცირედი გარემოება თუ შეიცვალა პირობითად და გამოძიებას სხვა მიმართულება მიეცა, ამის შესახებ გამოძიებაში ნათლად იქნება აღბეჭდილი და მითითებული. რეალურად ეს არსებითად განაჩენზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს იმდენად, რამდენადაც ცალსახაა, რომ ქმედებით, რომელიც ბრალდებულების მიერ იქნა განხორციელებული, დადგა გარდაცვალების შედეგი, ანუ — მიატოვეს პრემიერ-მინისტრი და გარდაიცვალა იმის გამო, რომ მის გვერდით არ იყვნენ დაცვის თანაშრომლები, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ მისი უსაფრთხოება.

ამ მოცემულობით, ჩვენ გვაქვს პოზიცია, რომ ის მიტოვებულ იქნა საბურთალოს ქუჩის №53 ა-ში, თუმცა რა მოხდა შემდეგ გარდაცვალებამდე, ამაზე მიმდინარეობს გამოძიება. მაშინ, როდესაც ჟვანია 00:00 საათზე მივიდა ბინაში, იგი გარდაცვლილი ნახეს, 03:30 საათზე. შუალედში სად წავიდა, რა მოხდა და როგორ გარდაიცვალა, ეს ძიების პროცესშია.

***— საინტერესოა, რამდენად არის კვლავ აქტუალური საფერფლის არსებობა ამ საქმეში. გარდაცვლილი პრემიერის ძმა ამბობდა, რომ ზურაბ ჟვანიას თავში საფერფლე ჩაარტყა მიხეილ სააკაშვილმა და დაზიანებები თავის არეში ამიტომ აღენიშნებოდა.***

— ცალსახაა და ვიდეოშიც ჩანს, რომ ზურაბ ჟვანიას თავის არეში სავარაუდო დაზიანებები აღენიშნება. ექსპერტ ლევან ჩაჩუას სწორედ ამას ვედავებოდით, რომ გულგრილად მოეკიდა ვალდებულებას, არ ასახა ეს დაზიანებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო გამოძიებისთვის, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით. თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ძირითად საქმეში ფიგურირებს, გარკვეული პერიოდულობით გადაისინჯე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# ღია წერილი საქართველოში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ ნიკოლას ბერლინერს

**საქართველოს ჰიმნის ავტორმა, ბატონმა დავით მაღრაძემ, ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ნიკოლას ბერლინერს ღია წერილი მისწერა. წერილი ელჩის იმ განცხადებას ეხება, რომელიც ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა „რუსთავი-2“-თან მიმართებაში გააკეთა. ჯერ ბატონი დავითის წერილს გაგაცნობთ:**


დავით მაღრაძე


ნიკოლას ბერლინერი

**ბატონო ელჩო,**

ვადასტურებ თქვენდამი ჩემს პატივისცემას და პირველ ყოვლისა მსურს გამოვხატო დიდი მადლიერება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ საქართველოსთვის გაწეული უმნიშვნელოვანესი დახმარებისა და თანადგომისთვის. რაც შეეხება თქვენს განცხადებას, რომ „დღეს საქართველოში მედიის თავისუფლების საფრთხის ქვეშ დაყენების ან მედიაპლურალიზმის დარღვევის შთაბეჭდილება იქმნება“, ვიდრე ამასთან დაკავშირებით ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებთ, მანამდე ერთ ისტორიას გაგიმხელთ.

2009 წლის აპრილის, ნაციონალური მოძრაობის ძალადობრივი რეჟიმის საწინააღმდეგო, მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყების წინა დღეებში შევხვდი თქვენს ერთ-ერთ წინამორბედს, ბატონ ტეფტს, რომელმაც მკითხა, გამოცხადებულ 9 აპრილის აქციაზე თუ რა რაოდენობის მომიტინგეს ველოდებოდით. მე ვუპასუხე, რომ საპროტესტო აქციაზე მომიტინგეთა უპრეცედენტო რაოდენობა შეიკრიბებოდა, დაახლოებით 100.000 ადამიანი. ბატონმა ტეფტმა მითხრა, რომ მისი ინფორმაციით 3-4 ათასიც ვერ შევიკრიბებოდით.

2009 წლის 26 მაისს გადავსებულმა სტადიონმა აჩვენა, ვინ იყო მართალი. აღნიშნული ფაქტი იმისთვის მოვიხმარე, რომ ცხადვყო შემდეგი: როცა პოეტს არ უსმენენ და პოლიტაქტივისტების სჯერათ, ასეთია ხოლმე რეალობასთან ცდომილების ამპლიტუდა. 2010 წლის თებერვალში ღია წერილით მივმართე შეერთებული შტატების დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც ვწერდი, რომ „საქართველოს ხელისუფლების მოჩვენებითი ანტირუსული ისტერია გამიზნულია მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, რაც გულისხმობს დასავლეთისა და შეერთებული შტატების უპირობო მხარდაჭერას. უპირობო და უკონტროლო მხარდაჭერა კი თავის მხრივ გულისხმობს ნებადართულ ძალადობას“. საერთაშორისო საზოგადოებრივი, სახელოვნებო წრეებიდან, მათ შორის შეერთებული შტატებიდან ძალიან საგულისხმო მხარდაჭერა მომწვდა, პოლიტიკური წრეებისთვის კი კვლავ გაუგონარი დარჩა პოეტის სიტყვა.

ბატონო ელჩო, თქვენ ალბათ გსმენიათ, რომ ნაციონალური მოძრაობის ძალადობრივი რეჟიმის დროს საქართველოში გაითელა სიტყვის თავისუფლება, დაილეწა დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედი“, ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს, პოლიტიკურ გადაცემათა ლიცენზიები სადავო გახდა და ა.შ. და ა.შ. 2009 წელს, ავსტრიაში, ქალაქ ლინცში მიმდინარე საერთაშორისო PEN მწერალთა ასოციაციის 75-ე კონგრესის დელეგატების ასამბლეამ (მე გახლავართ ქართული PEN ცენტრის დამფუძნებელი) მიიღო რეზოლუცია და რეზოლუციის სამი ძირითადი პოსტულატი ასე ჩამოაყალიბა: შეწყდეს თავდასხმები ჟურნალისტებზე; შეწყდეს კონტროლი საზოგადოებრივ მაუწყებელზე; საქართველოს მედია გახდეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. იმ ავადსახსენებელი პერიოდისგან განსხვავებით, დღევანდელი ხელისუფლება აღარ აკონტროლებს მედიას და რაც ასევე მნიშვნელოვანია, პირველად საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლებას საკუთარი ტელევიზია არ გააჩნია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი დაუბრუნდა საზოგადოებას.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობასთან ერთად წარსულს ჩაბარდა: პოლიტიკური პოლიცია, რბევა და ტერორი, ხელყოფილი კერძო საკუთრება, წართმეული ბიზნესი, გაყალბებული არჩევნები, ციხეებში პატიმართა წამების სისტემური ხასიათი, ხელისუფლებისგან მედიაკონტროლი, დაუცველი მოქალაქე.

ბატონო ელჩო, ყოველივე ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ „რუსთავი 2“-ის (ეს ტელევიზია ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ხელისუფლების განუყოფელი ნაწილი იყო და მუდამ საეჭვო გარემოებაში გადადიოდა ხელიდან ხელში) მეპატრონეებს შორის დავას გაარკვევს მონობიდან გათავისუფლებული დამოუკიდებელი სასამართლო.

სიტყვის თავისუფლება არანაირად არ უნდა ზღუდავდეს საკუთრების უფლებას. როდესაც შევარდნაძის ხელისუფლება „რუსთავი 2“-ში შეიჭრა და სიტყვის თავისუფლებას რეალური საფრთხე დაემუქრა, მაშინ მე „რუსთავი 2“-ის აქტიურ დამცველთა შორის გახლდით.

თქვენო აღმატებულებავ, გულწრფელად მინდა, რომ თქვენი, ვფიქრობ, უსაფუძვლო შეშფოთება დავაცხრო და გითხრათ, რომ იყავით მშვიდად, საქართველოში სიტყვის თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება, რადგან ურეიტინგო, პოლიტიკურ-ზნეობრივად გაკოტრებული, ხალხის უნდობლობით დაღდასმული, დაშლილი, დანაწევრებული ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ვერასოდეს მობრუნდება. ამას საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს. იქნებ სცადოთ პოეტის მოსმენა. სადაც პოეტს არ უსმენენ, დიქტატორის მოსმენა მოუწევთ.

ღრმა პატივისცემით, დავით მაღრაძე, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორი, 2009 წლიდან ამერიკის პოეტების აკადემიის წევრი, 2011 წლიდან ამერიკის მწერალთა და ხელოვანთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი

◆ ◆ ◆

**დავით მაღრაძე:**

— ცოტა უცნაურია, საკუთარ წერილზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ... მინდა ბატონ ნიკოლასს ავუხსნა, რომ სიტყვის თავისუფლებას არავინ ზღუდავს, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა აღარ არის და აღარასოდეს იქნება. უბრალოდ, სიტყვის თავისუფლებას საკუთრების უფლება არ უნდა შეეწიროს და ამის ყველაზე კარგი და ლეგალური გზა სასამართლოა...

**ზაზა შათირიშვილი:**

— ბატონი დავითის წერილი ძალიან შინაარსიანი და რაც მთავარია, გასაგებია. ეს არის სიმართლე და სწორედ ის სიმართლე, რომელიც სავარაუდოდ არ იცის ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა. მან უნდა გაიგოს, რომ სიტყვის თავისუფლებას საქართველოში აღარ ზღუდავენ...

**გოგა ხაინდრავა:**

— არ მეგულება მსოფლიოში საქართველოზე პროამერიკული ქვეყანა, მაგრამ ასეთი განცხადებებით, როგორიც ბატონმა ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა გააკეთა, ხალხს გული უცრუვდება ამერიკაზე. ეს იმიტომ, რომ ხალხმა რეალობა იცის და ყველაზე მეტად იცით რა მაინტერესებს? ეს კონკრეტულად ბატონი ნიკოლასის მოსაზრებაა თუ ამერიკის მთავრობის? ეს არის ძალიან საინტერესო... სხვათა შორის, ამერიკისადმი ნდობის რეიტინგი როდის დაეცა იცით? ვიკილიქსით რომ გავიგეთ, ამერიკის ელჩი რას წერდა თავის მთავრობას აქაურ რეალობაზე, მაშინ... ან ექსპერტები ჰყავთ ცუდი და ან... ან არ ვიცი... გვკითხონ ჩვენ, რიგით ადამიანებს და ჩვენ ვეტყვით რეალობას.

ბატონმა ნიკოლასმა უნდა იცოდეს, როგორ აღფრთოვანებით შეხვდა მიხეილ სააკაშვილი იმას, რომ ეს ტელევიზია ქიბარ ხალვაშმა იყიდა თავის დროზე. უნდა იცოდეს, როგორ უხაროდა ეს ყველაფერი და შავმა კატამ მაშინ გაირბინა ხალვაშსა და სააკაშვილს შორის, რაც მიშას ურთიერთობა ირაკლი ოქრუაშვილთან აერია. ეს არის სიმართლე. და გაიგოს ბატონმა ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, სად არის და ვისია ტელეკომპანიის 50%?

# თორნიკე ნადირაძე: ბრალდებულებს ზურაბ ჟვანიას გადარჩენა შეეძლოთ“


მიხეილ ძაძამია

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბა, ყოველმხრივ ხდება ამ საკითხების შესწავლა. თუ გამოძიებას მსგავსი ეჭვები გაუჩნდება, აუცილებლად განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას.

***— თუ არის მიღებული გადაწყვეტილება ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციაზე, რაზეც აქტიურად საუბრობდა ყოფილი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და შემდგომ ამ საქმის პროკურორი?***

— დაიგეგმება ერთობლივი საგამოძიებო მოქმედებები და, სტრატეგიის შესაბამისად, ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდება თანმიმდევრულად, მათ შორის, როდესაც ჩავთვლით საჭიროდ, შესაძლებელია ეს საგამოძიებო მოქმედებაც ჩატარდეს.

***— ამ საქმეზე ბრალდებული იყო ექსპერტი ლევან ჩაჩუაც, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა და ახლა მისი საქმე სააპელაციოშია გასაჩივრებული. ჩაჩუას მიმართ გამამართლებელი განაჩენი და ხარშილაძე-ძაძამიას მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი, რა პერსპექტივას უტოვებს ყოფილი პრემიერის გარდაცვალების საქმეს?***

— ლევან ჩაჩუა გამართლებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ეს არ მიუთითებს, რომ ის გამართლებული იქნება სააპელაციო სასამართლოში. ჩვენ მტკიცედ გვჯერა იმისა, რომ სააპელაციო სასამართლო მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას და დამნაშავედ სცნობს წარდგენილ ბრალდებაში ლევან ჩაჩუას. ეს, ბუნებრივია, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება — არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დაც-


ლევან ჩაჩუა

ვის თანამშრომლებმა, რომლებიც გულგრილად მოეკიდნენ საქმეს, ლევან ჩაჩუამ კი, თავის დროზე არაჯეროვნად შეასრულა საკუთარი ვალდებულება — არ შეამოწმა პრემიერ-მინისტრი. როდესაც საუბარი გვაქვს პრემიერ-მინისტრზე, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღებაა საკითხის მიმართ საჭირო, თუმცა ჩაჩუა აბსოლუტურად გულგრილად მოეკიდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას და ყურადღებას არ აქცევდა გვამის გაკვეთისას არსებულ სავარაუდო დაზიანებებს. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, წაადგება ძირითად საქმეს და კიდევ უფრო ნათელს მოჰფენს დეტალებს, რომელთა ირგვლივ საგამოძიებო მოქმედებების წარმოება მიმდინარეობს. თუმცა, იმის თქმა, რომ ეს ორი განაჩენი გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს ძირითად საქმეში, გადაჭარბებულია.

***— რა არის მთავარი, რაც გიქმნით საფუძველს, რომ ზურაბ ჟვანია საეჭვო გარემოებაში გარდაიცვალა?***

— ძალიან ბევრი ჩვენება იყო სასამართლო პროცესზე, მათ შორის ექსპერტ კახაბერ ერისთავის ჩვენება, რომელიც მიუთითებდა, რომ ნაჭდევები, რომელიც განვითარებულია ზურაბ ჟვანიას ტუჩის არეში, მიყენებული იყო სიცოცხლის პერიოდში ან გარდაცვალებიდან მაქსიმუმ 5 წუთის განმავლობაში. ჩვენ გვახსოვს კობა ხარშილაძის მითითება, რომელიც ამბობდა, რომ მან ჟვანიას ხელოვნური სუნთქვის დროს მიაყენა აღნიშნული დაზიანება.

ექსპერტმა ცალსახად დააფიქსირა ეს პოზიცია, რომ გარდაცვალებამდე ან გარდაცვალების შემდგომ 5 წუთის პერიოდში, უნდა ყოფილიყო მიყენებული დაზიანება. შესაბამისად, ამან თავის მხრივ, გამორიცხა ის გარემოება, რომ დაზიანება მიყენებულ იქნა კობა ხარშილაძის მიერ. ხარშილაძე გაცილებით გვიან მივიდა შემთხვევის ადგილზე. კიდევ ერთხელ გავიხსენებ, ბელქანიას ჩვენებას, რომ გამათბობელს მურის კვალი არ აღენიშნებოდა. საუბარი იყო ნუგზარ მხეიძის და ალექსანდრე მელიმონაძის ჩვენებებზე, ესენი არიან „თბილგაზის“ ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ, რომ 02:30 საათიდან, 03:00 საათამდე პერიოდიდან, გაზი საბურთალოს ქუჩაზე არსებულ კორპუსს, რომელშიც ჟვანია იმყოფებოდა, არ მიეწოდებოდა. ბრალდებულებმა აღნიშნეს, რომ 03:30 საათიდან 04:30 საათამდე მივიდნენ ამ ბინაში და, როდესაც შევიდნენ, გაზის შიშინის ხმა ესმოდათ და გამათბობელი გამორთეს. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ იმ პერიოდისთვის, როდესაც ისინი მივიდნენ ბინაში, გაზის შიშინის ხმას ვერ გაიგებდნენ, რადგან გაზი უკვე გადაკეტილი იყო კორპუსში. ეს გარემოებები ქმნის რეალურ საფუძველს იმისა, ვიფიქროთ, რომ ზურაბ ჟვანია CO-თი არ გარდაცვლილა.

***— თუ ხარშილაძე და ძაძამია ცრუობენ, რატომ ჰქონდათ მათ მხოლოდ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდება წარდგენილი?***

— ბრალდების მხარემ მტკიცებულებების საფუძველზე წარუდგინა მათ ბრალად სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. წარდგენილი ბრალდება ეფუძნებოდა კონკრეტულ მტკიცებულებებს, რითაც უტყუარად იქნა დადასტურებული, რომ ბრალდებულებმა დატოვეს დასაცავი პირი, მიატოვეს მარტო და არ უზრუნველყვეს მისი უსაფრთხოება. შესაბამისად, ბრალდება სწორედ ამ მიმართულებით იყო წარდგენილი, რადგან განზრახვა, რომ ბრალდებულებმა ჟვანია განზრახ დატოვეს და რაიმე სხვა სახის მანიპულაციები განახორციელეს, რამაც გამოიწვია ყოფილი პრემიერის სიცოცხლის მოსპობა, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დადასტურებულა.

**ხათუნა გაგნიძე, „ინტერპრესნიუსი“**

# ირაკლი სესიაშვილი: რუსეთი რთულ ვითარებაშია“

გულიკო ბალაძე







**რუსეთმა სომხეთში არსებული რუსული შეიარაღებული ნაწილების წვრთნა დაიწყო.**

**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ კრემლი წვრთნებს ატარებს ასევე ცხინვალსა და აფხაზეთშიც.**

**ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, რუსეთი დაგეგმილ წვრთნებს ატარებს, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული ჯარის წვრთნების ჩატარება, საქართველოს ხელისუფლებისთვის მიუღებელია. თუმცა, ამ ეტაპზე პირდაპირი საფრთხის ნიშნები არ არის.**

***— ბატონო ირაკლი, მოგეხსენებათ, რუსეთმა სომხეთში წვრთნები დაიწყო. საქართველოს აგვისტოს თვე ცუდად აქვს დაცდილი. რა საშიშროებას ხედავთ სომხეთში რუსული ჯარის წვრთნების გამო?***

— რუსულ ჯარს მხოლოდ სომხეთში არ წვრთნიან, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც მიმდინარეობს რუსული ჯარების წვრთნები.

***— მით უმეტეს?***

— ეს წვრთნები არის დაგეგმილი წვრთნები. რუსეთი ყოველ წელს ამ პერიოდში ატარებს წვრთნებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რა თქმა უნდა, ჩვენი სადაზვერვო სამსახურები თვალყურს ადევნებენ. ვერ ვიტყვით, რომ მასშტაბური წვრთნებია. რუსეთს დამატებითი ძალები არ შემოუყვანია. ასე რომ, ჩვენ ვაგრძელებთ დაკვირვებას. საფრთხის ნიშნები არ არის. თუმცა, თავისთავად ის ფაქტი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე წვრთნები ტარდება, ეს ჩვენთვის მიუღებელია.

***— თუმცა, რუსეთი პროვოკაციებს არ ერიდება. მოგეხსენებათ, შიდა ქართლში საზღვრის აღმნიშვნელ ბანერებს ამონტაჟებს. ამ პერიოდისთვის რაიმე საფრთხე გამორიცხულია?***

— ზოგადად, თეორიაში, როცა არსებობს საფრთხე, გამორიცხვის უფლება არავის აქვს. ყოველ შემთხვევაში, მუდმივად მიმდინარეობს დაკვირვება. თავისთავად ცხადია, სპეცსამსახურები და სადაზვერვო სამსახურები სამუშაოებს ასრულებენ. თუ რაიმე ნიშნები გამოჩნდა იმისა, რომ არსებული საფრთხე პირდაპირ საფრთხეში გადაიზარდოს, მაშინ სახელმწიფო მოახდენს ადეკვატურ რეაგირებას. ამ ეტაპზე პირდაპირი საფრთხის ნიშნები არ არის. პირდაპირი საფრთხის ნიშნები შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, სამხედრო ძალის მატებაში, სამხედრო ძალების გარკვეული მიმართულებით გადაადგილებაში, ან ექნება გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებები.

რუსეთის ქმედებები არ ექვემდებარება საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს. ცნობილია, რაც გააკეთა რუსეთმა საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ.

ამიტომ, როცა საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გასული მეზობელი გყავს, თავისთავად ცხადია, უფლება არ გაქვს, ფრთხილად არ ვიყოთ. თუმცა, ამ ეტაპზე საფრთხე არ არსებობს. თუმცა, ცალკეული პროვოკაციები იქნება. ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული სტილია. ამ პროვოკაციებით რუსეთი ცდილობს დაძაბულობა შეინარჩუნოს ამა თუ იმ რეგიონში. ეს დაძაბულობა ნაწილობრივ მიმართულია დასავლეთისკენ, ნაწილობრივ მიმართულია კონკრეტული სახელმწიფოებისკენ. დაძაბულობა უკავშირდება გარკვეულ მოვლენებს.

***— თუმცა, ამ დაზვერვაში რუსეთი საზღვარს აგერ ქართლის შუაგულში გვივლებს.***

— რუსეთის ნებისმიერი ამგვარი ქმედება საყურადღებოა და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს. თუ ვინმეს უკეთესი რეცეპტი აქვს, როგორ მოვიქცეთ მსგავს შემთხვევაში, შეუძლია გვირჩიოს და თანამდებობას დავუთმობ თუ იცის, როგორ მოვახდინოთ დეოკუპაცია. თქვენ თუ მირჩევთ, ბანერებს დავუპირისპიროთ ტყვიამფრქვევები და არტილერია, ამ გზით, რაც მივიღეთ 2008 წელს, კარგად გვახსოვს.

***— 2008 წელს სააკაშვილი რომ არ გასულიყო გარკვეულ ზღვარს იქით, ცხინვალში რომ არ შესულიყო და ლოკალურად ებრძოლა იმ ადგილზე, სადაც მეორე მხრიდან ინტენსიურ სროლებს ჰქონდა ადგილი, როგორ ფიქრობთ, შედეგები ისეთი სავალალო იქნებოდა, როგორც აგვისტოს ომი დასრულდა თუ, უბრალოდ, ლოკალურ ბრძოლებად დარჩებოდა?***

— წინასწარმეტყველი არ ვარ და ვერ გეტყვით, რა როგორ იქნებოდა, მაგრამ უმჯობესი იქნება ეგ კითხვები ერთდროულად დაუსვათ სააკაშვილსა და პუტინს და მათგან მიიღოთ პასუხი.

***— თქვენ ამბობთ, რომ საშიშროება არ არსებობსო, მაგრამ საშიში სამკუთხედი კი იკვრება, ცხინვალი-აფხაზეთი-სომხეთის სახით, იქ არსებული რუსული სამხედრო ბაზების გამო.***

— რამდენი წელია, რაც ეს ბაზები არსებობს?

***— უკვე დიდი ხანია, მაგრამ 2008 წელს ცხინვალიდანაც შემოვიდნენ და აფხაზეთიდანაც.***

— რამდენი წელია რუსეთი წვრთნებს ატარებს.

***— მესმის, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთმა 1921 წელს სამი მხრიდან შემოგვიტია.***

— მე თუ მეკითხებით, პასუხი გაგეცით. ზოგადი საფრთხე არსებობს. როდესაც შენი ტერიტორია ოკუპირებულია, სამხედრო ბაზები არსებობს. პირდაპირი სამხედრო საფრთხეების განსაზღვრა და ომის ალბათობის პროგნოზირება ხდება გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით. ეს მონაცემები მოიპოვება სადაზვერვო საქმიანობის შედეგად. არსებული მონაცემებით პირდაპირი საფრთხე არ არსებობს. ვიღაცა ავტომატს რომ აიღებს და სამიზნეს ესვრის, ასეთი წვრთნა ტარდება ყოველდღე. ასე რომ, ჩვენი ვალდებულებაა ვიცოდეთ, სად ტარდება, ვინ მონაწილეობს, რა რაოდენობა მონაწილეობს, ხომ არ შეინიშნება სამხედრო ნაწილების გადაადგილება. ჩვენს მონაცემებზე დაყრდნობით, ამგვარ ქმედებებს ადგილი არ აქვს.

***— ზოგიერთი პოლიტიკოსი ხშირად აცხადებს, რომ რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებები აუცილებელია პირველი პირების დონეზე და საყვედურობენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებს, რომ მათ არ დაიწყეს სრულმასშტაბიანი მოლაპარაკებები რუსეთთან. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რამდენად შესაძლებელია ამ სიტუაციაში პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოება უმაღლეს დონეზე?***

— მიმაჩნია, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ საერთაშორისო ფორმატით უნდა შედგეს. თავისთავად ცხადია, ქვეყნებს შორის გარკვეული დიალოგი უნდა არსებობდეს. ეს იქნება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით, არაფორმალურად თუ როგორ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მანამ, სანამ გარკვეული გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული. სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე მოლაპარაკება და გადაწყვეტა მისაღებია მხოლოდ საერთაშორისო ფორმატით.

***— ზოგი ამბობს, რომ სანამ პუტინი იქნება ხელისუფლებაში.***

— თუ-ებით ნუ მელაპარაკებით. თუ-ებით ელაპარაკეთ ექსპერტებს, მე არ მაქვს უფლება, თუ-ებით ვილაპარაკო.

***— ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ პუტინთან მოლაპარაკება შეუძლებელია. ეს რამდენად სწორი მიდგომაა?***

— რასაც ამბობენ ექსპერტები, დაწერეთ.

***— გამომდინარე კითხვას გისვამთ, ბატონო ირაკლი, პუტინთან მოლაპარაკება შესაძლებელია?***

— პუტინი და დღევანდელი რუსეთი ძალიან რთულ საერთაშორისო პოლიტიკურ მოცემულობაში იმყოფებიან. ამას კრემლი ძალიან კარგად ხვდება, მაგრამ რასაც დასთეს, იმას მოიმკი. რუსეთი რთულ ვითარებაშია. ეს არის მოცემულობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ურთიერთობის ნორმალიზებას არ შევეცადოთ. მოცემულობა არის, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია. მოცემულობაა, რომ იმ ქვეყანას პუტინი მართავს.

თუ ვინმე თვლის, რომ მოლაპარაკება შეუძლებელია, ეს ფარ-ხმალის დაყრას ნიშნავს. თუ მოლაპარაკება შეუძლებელია, მაშინ საერთოდ, კითხვასაც არ უნდა მისვამდეთ. ჩვენ ვცდილობთ შეუძლებელი შევძლოთ. პოლიტიკაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, არასოდეს უნდა ვთქვათ არასოდეს.

***— ბატონო ირაკლი, მაინტერესებს, უახლოეს პერიოდში რა სიახლეს ელოდებით ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით?***

— ვერ იპოვით ვერც ერთ გენიოსს, რომელიც გეტყვით ამას იმიტომ, რომ ნატოში გადაწყვეტილებები მიიღება კონსესუსის გზით. ჩვენ ვიცით, ჩვენი ვალდებულებები, ვიცით, რა არის ჩვენი მიზანი და კონკრეტული ამოცანებიც ძალიან კარგად გვაქვს გაცნობიერებული, დანარჩენს გვაჩვენებს საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა.

**საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გასული მეზობელი გყავს, თავისთავად ცხადია, უფლება არ გაქვს, ფრთხილად არ ვიყოთ. თუმცა, ამ ეტაპზე საფრთხე არ არსებობს**

## რელიგიის სააგენტოს შექმნა ჩვენი მთავრობის ინიციატივაა

— რელიგიის სააგენტოს შექმნა არის ჩვენი მთავრობის ინიციატივა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, სააგენტოს შექმნა დაიწყო ბიძინა ივანიშვილის დროს და დასრულდა ამ მთავრობის პირობებში.

პრემიერის განმარტებით, წლების განმავლობაში რელიგიურ უმცირესობებს ყურადღება არ ექცეოდათ, ახალი ხელისუფლების პირობებში კი, 4 რელიგიურ კონფესიას ფინანსური დახმარება გაეწია.

მისივე განმარტებით, ბათუმში აშენდება სამუფთოს რეზიდენცია და მედრესე, რომელიც ქართველი მუსლიმების ცენტრი იქნება.

— ეს დავიწყეთ ბატონი ბიძინა ივანიშვილის დროს და ჩემს დროს დავასრულეთ. ამ სააგენტოს შექმნით ჩვენ უპრეცედენტო რამ გავაკეთეთ, რადგან წლების განმავლობაში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ჩვენს მუსულმანებს, კათოლიკეებს, სომხური ეკლესიის წარმომადგენლებს, ასევე ებრაელებს. ჩვენ ამ ოთხ რელიგიურ მიმართულებას დავუნიშნეთ დაფინანსება და რელიგიის სააგენტომ სამუფთოსთან ერთად გადაწყვიტა სამუფთოსთვის რეზიდენციისა და მედრესეს გაკეთება, რომელიც ძალიან კარგი მუსულმანური ცენტრი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბათუმში იმყოფებოდა. მან სასტუმრო „კოლიზეუმი“ გახსნა და მშენებარე ობიექტი დაათვალიერა.

ინტერპრესნიუსი





## თურქეთში აფეთქების შედეგად რვა თურქი სამხედრო დაიღუპა

თურქეთში აფეთქების შედეგად რვა თურქი სამხედრო დაიღუპა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცია სიირთში მომხდარი აფეთქების შედეგად რვა თურქი სამხედრო დაიღუპა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ გზაზე იყო განთავსებული, რომელზეც სამხედრო ტრანსპორტს უნდა გაევლო. ინციდენტის შედეგად 10-მდე სამხედრო დაშავდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია, თუმცა, სამხედროები ქურთ მებრძოლებს სდებენ ბრალს.

პარალელურად, გუშინ სტამბოლში „დოლმაბაჰჩეს სასახლეში“ სროლა იყო. ინციდენტის შემდეგ პოლიციამ მალევე დააკავა ორი ეჭვმიტანილი. მესამეს კი ამ დრომდე ეძებენ. დაკავების დროს ერთ-ერთი სამართალდამცველი მსუბუქად დაშავდა. „დოლმაბაჰჩეს სასახლეში“ პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს სამუშაო ოფისია განთავსებული, ინციდენტის დროს დავუთოღლუ სასახლეში არ იმყოფებოდა. სასახლე ოსმალეთის იმპერიის დროს წლების განმავლობაში მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა.

ინტერპრესნიუსი

## საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება

საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება, — ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.




რაც შეეხება კერძო სკოლებს, ისინი სწავლის დაწყების თარიღს თავად განსაზღვრავენ. ლია გიგაურის ინფორმაციით, 2015-2016 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ ნაწილში შევიდა გარკვეული ცვლილებები. მათ შორის კერძო სკოლებისთვის სასწავლო კვირების მინიმალური რაოდენობა 34 კვირით განისაზღვრა.

კერძო სკოლები თუ სწავლას გვიან დაიწყებენ სასწავლო წლის დამთავრება მათ საკმაოდ გვიან მოუწევთ.

დღეის მდგომარეობით, საჯარო და კერძო სკოლებში სულ დარეგისტრირებულია 46.660 მოსწავლე. განათლების სამინისტროს 820-მა მშობელმა მიმართა, რომელთაც შვილების დარეგისტრირება ვერ მოახერხეს, ანუ სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს პერიოდი გამორჩათ, ამიტომ 1 და 2 სექტემბერი პირველკლასელთა დამატებითი რეგისტრაციის ვადად განისაზღვრა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საქართველოში ბიზნესის განვითარება გაბედულმა ადამიანებმა უნდა შეძლონ“

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქედაში ხილის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნაზე იმყოფებოდა. მისი თქმით, საქართველოში ბიზნესი უნდა განვითარდეს კერძო სექტორის მხრიდან მთავრობის ხელშეწყობით.**

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

— სწორედ ისეთმა გაბედულმა ბიზნესმენებმა (როგორიც არის ზურაბ ჩხაიძე, რომელმაც გახსნა ეს ქარხანა), რომლებიც არ ელოდებიან რაღაც განსაკუთრებულს, რასაც ქართველი ხალხი ველოდებით 25 წელია და უფრო მეტიც, უნდა შეძლონ ბიზნესის განვითარება საქართველოში ჩვენი ხელშეწყობით. თუმცა, მთავრობა ვერ ჩაანაცვლებს კერძო სექტორს, ისევე, როგორც კერძო სექტორი ვერ ჩაანაცვლებს მთავრობას.

დღევანდელი დღე არის წარმატებული მაგალითი იმის, რომ მთავრობას და კერძო სექტორს შეუძლია წარმატებით თანამშრომლობა.

მისივე თქმით, სახელმწიფოს თანადაფინანსებით და ხელშეწყობით კერძო სექტორი ვითარდება, რის შედეგადაც იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა.

— ჩვენი მთავრობის დახმარებით 135 ქარხანა არის დაფინანსებული. 3 წლის წინ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაიწყო არაჩვეულებრივი პროგრამა — შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა. რომელიც წარმატებით ხორციელდება მესამე წელია. ამის ფარგლებში დაფინანსდა 135 ქარხანა. გასულ წელს დავიწყეთ ახალი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. ამის ფარგლებში 100 საწარმო არის დაფინანსებული, რაც ჯამში სამასი მილიონი დოლარის ინვესტიციაა. ჩვენი ვარაუდით, რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა.



გასულ წელს შეიქმნა 30.000 სამუშაო ადგილი, აქედან 90% მოდის სწორედ კერძო სექტორზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს თანადაფინანსებით და ხელშეწყობით კერძო სექტორი ვითარდება, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება ახალ საწარმოს, პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ასეთი საწარმოების გახსნა რეგიონებისთვის უმნიშვნელოვანესია.

— მინდა ყველას მოგილოცოთ კიდევ ერთი ახალი საწარმოს გახსნა. მე მინდა აღვნიშნო ზურაბ ჩხაიძის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელიც მეოთხე საწარმოს ხსნის. ასეთი საწარმოების გახსნა არის უმნიშვნელოვანესი ქედისთვის. ადგილობრივ მცხოვრებლებს მიეცემათ საშუალება, ჩააბარონ ამ საწარმოში მათ მიერ მოყვანილი ხილი. აქ ყველანაირი ხილის ჩაბარება შეიძლება.

წლების განმავლობაში ხილი ფუჭდებოდა და ლპებოდა, რადგან მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება, სადმე ჩაებარებინა. ამ საწარმოში მუდმივად 50 ადამიანია დასაქმებული. ეს არის თანამედროვე აღჭურვილობის მქონე, ევროპული სტანდარტების ქარხანა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან გარდა იმისა, რომ მოახერხა სამი წლის წინ, რომ ჩვენი პროდუქცია დაბრუნებულიყო რუსეთის ბაზარზე, ქართველ მეწარმეებს გაუხსნა ევროპული ბაზარი.

ჩვენს ქართველ მეწარმეებსა და ბიზნესმენებს აქვთ შესაძლებლობა, ყოველგვარი ბარიერების გარეშე გაიტანონ ჩვენი ქართული პროდუქცია ევროპის ბაზარზე, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

საწარმო სახელმწიფოს თანადაფინანსებით და შეღავათიანი აგროკრედიტით აშენდა.

ინტერპრესნიუსი

# გურიაში თხილი 6,5 ლარი ღირს

ლალი დავითური

თხილის მოსავლის რაოდენობასა და ფასების შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაცია ვრცელდება. თხილის მწარმოებელთა ასოციაციის განცხადებით, წელს საქართველოში თხილის ნაკლები მოსავალია, რაც განაპირობა სამეგრელოსა და გალის ტერიტორიაზე ძლიერმა სიცხემ და ქარმა, მსგავსი ვითარებაა კახეთშიც. ამის გამო წელს საქართველოში თხილის მცირე მოსავალს ელიან. არის ცნობა იმის შესახებ, რომ თხილის ფასმა დაიწია და, მაგალითად, გურიაში 3-4,5 ლარი გახდა. ამ და სხვა საკითხების გასარკვევად „ახალი თაობა“ დაუკავშირდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩანჩეთის მკვიდრ ადგილობრივ ფერმერს, 82 წლის **გიორგი დარჩიას.**

***— ბატონო გიორგი, წელს თხილის როგორი მოსავალი გაქვთ?***

— წელს უხვი მოსავალი გვაქვს. ფერმერები და გლეხები ძალიან კმაყოფილები ვართ თხილის მოსავლით.

***— ბატონო გიორგი, ჰექტარზე რამდენი ტონა თხილი მიიღეთ?***

— ჰექტარზე ვერ ვიტყვი, საერთოდ 3 ჰექტარი ნაკვეთი მაქვს, მაგრამ თხილის გარდა ამ ნაკვეთში ვაზი და კივიც მიდგას. ღმერთმა ნუ ქნას და ერთი რომ მოცდეს და გაფუჭდეს, მეორე მაინც გამიმართლებს. ისე, თხილი 1000 ძირი მიდგას და 2,5 ტონა მოსავალი მივიღე.

***— თქვენთან გვალვამ და სიცხემ მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე არ იმოქმედა?***

— კი, როგორ არ იმოქმედა, მოსავალი რაოდენობრივად ბევრია, მაგრამ სიცხემ წონა დააკარგვინა თხილს, ასეთი სიცხეები რომ არა, 3 ტონაზე მეტს მივიღებდი.

***— რა ღირს დღეს გურიაში თხილი?***

— თავიდან 6 ლარად ვაბარებდი, დღეს უკვე 6,5 ლარი ღირს და კიდევ ველით ფასის მატებას.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ გურიაში თხილის ფასი 3 ლარი, ბერძნული თხილის კი 4,5 ლარიაო.***

— არა, ბატონო, არც მე და არც ჩემს მეზობლებს 6 ლარზე ნაკლებად არ ჩაგვიბარებია თხილი. გლეხები მოსავლის ნაწილს ხარჯების გასასტუმრებლად აბარებენ, დანარჩენს კი ინახავენ.

***— რატომ ინახავთ, ფასის მკვეთრ ზრდას ელით?***

— ვნახოთ, შეიძლება გაიზარდოს, შარშან 12 ლარამდე ავიდა ფასი.

***— თხილის ყველა ჯიშს ერთი ფასი აქვს თუ განსხვავდება ფასებში?***

— მე ბერძნული თხილი მაქვს, ლანჩხუთის რაიონში ძირითადად ეს ჯიშია გავრცელებული, სხვაგან როგორ არის, ვერ გეტყვით.

***— ბატონო გიორგი, რომელ ქარხანაში აბარებთ თხილს?***

— ჩვენ, მე და ჩემს მეზობლებს, ქარხანაში არ მიგვაქვს თხილი. აქ, სოფელში დადიან კერძო პირები და ადგილზე იბარებენ. ფასში დიდი სხვაობა არ არის, ტრანსპორტირება, რიგში დგომა, ზედმეტი ხარჯებია. მირჩევნია, ადგილზე ჩავაბარო.

***— ბატონო გიორგი, თქვენი აზრით, გურიაში გაამართლა თხილის ბიზნესმა?***

— კი, ძალიან გაამართლა, ამოისუნთქა გურიამ. უკვე ბევრმა გააშენა თხილი, დაკავდა ხალხი ადგილზე. ადრე ბევრი მიდიოდა თურქეთში თხილის საკრეფად, ახლა აქ დასაქმდა ხალხი. მუშახელი ჩვენც გვჭირდება. კაცი დღეში 8 საათიდან 18 საათამდე 25 ლარი ღირს. ძალიან შრომატევადი იყო თხილის გარჩევა, ხელით ვარჩევდით, ახლა თხილის სარჩევი აპარატები ქირავდება. 1 ტონა თხილის გარჩევა 100 ლარი ღირს.

საერთოდ გურიაში თხილმა ვალუტის ფუნქცია შეიძინა. ლარივით კი არ უფასურდება, დოლარივით მყარდება. თხილზე შეგიძლია ყველაფერი იყიდო ტექნიკით დაწყებული, ნაყინით დამთავრებული. მაგალითად, ჩემმა შვილიშვილმა 1 კგ თხილში 6 ნაყინი იყიდა. გურიაში რომ კითხო კაცს, სად გძინავსო და — თხილზეო, გიპასუხებს.



# საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების ნავთობგადამამუშავებლის აშენება იგეგმება?!

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს აშენება იგეგმება. საწარმო ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე, რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გაშენდება, დასაქმდება ადგილობრივი ადამიანები. ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიებით და ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე თანამედროვე საწარმო იქნება. მის მშენებლობაში კი ას მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდება. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, პროექტის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით, გარდა იმისა, რომ პროექტი კომპანია „მულტიპლექსთან“ ასოცირდება.

ნავთობისა და გაზის კორპორაციის ინფორმაციით, საქართველოში მოპოვებულია საშუალოდ 27.7 მლნ ტონა ნავთობი. ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალო წლიურმა მოპოვებამ კი 70,6 ათას ტონას მიაღწია. ექსპერტები მედიასთან აღნიშნული პროექტის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე საუბრობდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს რაოდენობა საკმარისი არ იქნებოდა ქარხნის დასატვირთად, რაც საჭიროს გახდიდა დამატებითი ნავთობის შემოზიდვას მეზობელი ქვეყნებიდან.

— რა თქმა უნდა, ადგილზე მოპოვებული ნედლი ნავთობის ეს მოცულობა ვერ დატვირთავს ამ ქარხანას, რადგან საუბარია 2 მილიონი ტონა ნავთობის გადამუშავებაზე. აქ პოტენციურად შეიძლება გადამუშავდეს აზერბაიჯანული და ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან შემოტანილი ნავთობი. ქარხნის ადგილმდებარეობა არის ძალიან კარგი. აქედან ნავთობპროდუქტების გატანა დასავლეთის ბაზრებისკენ, რეგიონში არის ძალიან მნიშვნელოვანი, — ეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის მოადგილის ნიკო მჭედლიშვილის განცხადებაა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენების სურვილი წინა მთავრობასაც ჰქონდა, მაგრამ როგორც ჩანს, მაშინ ვერ მოხერხდა სერიოზული ინვესტორის დაინტერესება.

ჩვენი ინფორმაციით, დღევანდელი მთავრობა აქტიურად მუშაობს ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზებაზე. პროექტი მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება საქართველოს არა მარტო ენერგოდამოუკიდებლობას მოუტანს და რეგიონში ევროსტანდარტების მიხედვით წარმოებული პროდუქციის გამოშვებას შეუწყობს ხელს, არამედ საწვავის გაიაფებას და ბაზარზე ფასების დარეგულირებასაც გამოიწვევს.

ნანა სიხარულიძე

# საკრებულოს მიწის ლეგალიზაციის კომისიამ 3.638 განცხადება განიხილა

საკრებულოს მიწის ლეგალიზაციის კომისიამ 3.638 განცხადება განიხილა თბილისის საკრებულოს მიწის ლეგალიზაციის კომისიამ 3.638 განცხადება განიხილა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოდან აცნობეს, დედაქალაქის საკრებულოში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია 11 თვის მუშაობის შედეგებს აქვეყნებს.



როგორც კომისიის თავმჯდომარემ ბექა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, ოქტომბრიდან აგვისტოს ჩათვლით კომისიამ 48 სხდომა ჩაატარა.

— 11 თვის განმავლობაში განხილულია 3.638 მოქალაქის განცხადება, აქედან 1.096 მოქალაქეს მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცათ, 794 ადამიანს კი უარი ეთქვა, რადგან მათ მიერ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე ფლობა-სარგებლობა არ დასტურდებოდა. რაც შეეხება დანარჩენ 1.436 მოქალაქეს, კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, მათი საკითხები უკეთ შესწავლის მიზნით გადაიდო, — განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.

საკრებულოს ინფორმაციით, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომა ყოველ ორშაბათს იმართება და მას დეპუტატების გარდა, უშუალოდ განმცხადებლები, თბილისის მერიის საჯარო რეესტრის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურების, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებიან.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, სპეციალური ჯგუფი არსებულ ვითარებას ადგილზე სწავლობს, აუცილებლობის შემთხვევაში კი მუშაობის პროცესში ექსპერტის ჩართვაც ხორციელდება.

ინტერპრესნიუსი



# აშშ საქართველოსთვის დამატებით 20 მილიონის დახმარების გამოყოფას გეგმავს

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის 2015 წელს დამატებით 20 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაცია პენტაგონის ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელდება. თანხა საქართველოს შეიარაღებული ძალების დახმარების მიზნით გამოიყოფა.

აღნიშნული საკითხი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ეშტონ კარტერმა პენტაგონში გუშინ გამართული შეხვედრის დროს განიხილეს.

— თავდაცვის მდივანმა კარტერმა თავდაცვის მინისტრ ხიდაშელს საქართველოს მიერ ავღანეთში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. კარტერმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ, თავის მოკავშირეებთან ერთად, საქართველოს მხარდამჭერი რჩება ნატო-საქართველოს კომისიის და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, რომელიც 2014 წლის უელსის სამიტზე შეთანხმდა, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ პენტაგონის პრესსპიკერმა, პიტერ კუკმა.

პენტაგონის ცნობით, ეშტონ კარტერმა და თინა ხიდაშელმა შეხვედრისას რეგიონული უსაფრთხოების საკითხების და აშშ-საქართველოს შორის არსებული კავშირების შესახებ იმსჯელეს.

ინტერპრესნიუსი



# ჟინვალში კლდის მასის ჩამოწოლის შედეგად 10 წლის ბავშვი დაშავდა

შემთხვევა ჟინვალის საავტომობილო გზაზე მოხდა. ჩამოშლილ მასაში მსუბუქი ავტომობილი მოყვა. შემთხვევის შედეგად 10 წლის ბავშვი დაშავდა. მცირეწლოვანი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ბავშვის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში განუცხადეს, ადგილზე დუშეთის რაიონის სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.

მარიამ მჭედლიშვილი

# ანზორ წოწონავა: დევნილთა სამინისტროს მუშაობა გამჭვირვალე უნდა იყოს“

## 87 ათასი დევნილი ოჯახიდან დაახლოებით 30 ათასია დაკმაყოფილებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით

**რა მდგომარეობაში არიან აფხაზეთიდან დევნილები? რატომ ხდებიან ისინი სხვადასხვა ძალის მხრიდან მანიპულირების ობიექტი? სად იკვეთება ბიუროკრატიზმი? რატომ არ ითვლებიან მარჩენალდაკარგულებად დაღუპული ვეტერანების ოჯახები? ვინ უნდა დაადგინოს და აანაზღაუროს დევნილებისათვის მიყენებული ზარალი? რა მიზანი აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის მიერ მოწყობილ წვრთნებს?**

„ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავას.

***— რა მდგომარეობაა აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახების აღრიცხვის მხრივ? მათი კატეგორიებად დაყოფა ისევ ვერ მოხერხდა?***

— ვითარება ისეთია, რომ მოითხოვს პრობლემის მიმართ სტრატეგიულ მიდგომას. დევნილთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2012 წლის არჩევნების შემდეგ განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები. პირველ რიგში, მიხედეს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფებს, მაგრამ დღემდე არაა კომპლექსურად შესწავლილი ყველა დევნილი ოჯახის მდგომარეობა, არ მომხდარა ოჯახების დიფერენცირება. არადა, ამის შედეგად წლების მიხედვით გაიწერებოდა გეგმა, რომლითაც ოჯახებს საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილებდნენ.

***— კიდევ ბევრ დევნილს არა აქვს საცხოვრებელი ფართი?***

— 87 ათასი ოჯახიდან დაახლოებით 30 ათასია დაკმაყოფილებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით. სწორად გაწერილი გეგმა მოსპობდა გაუგებრობას, რომელსაც იწვევს ინფორმაციის უქონლობა. დევნილებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან, როდის მიიღებენ საცხოვრებელ ფართს. ამის გამო ისინი ხდებიან საეჭვო პირებისა და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე პარტიების მხრიდან მანიპულირების ობიექტი.

***— ოჯახების შესწავლა რაღაც ფორმით ხომ ხდება?***

— ცალკეულ რეგიონებში ამა თუ იმ ობიექტის ჩაბარების წინ ტარდება აპლიკაცია, ანუ გამოკითხვა. ეს არ იძლევა ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბების საშუალებას. ამასთან, დევნილთა სამინისტროს არ გააჩნია აღრიცხვის თანამედროვე სისტემა. ასეთი სისტემა მოქმედებს სახელმწიფო რეესტრში. სტრატეგიის საფუძველზე უნდა გადაწყდეს არა მარტო საცხოვრებლის პრობლემა, არამედ დასახლებულ ობიექტებში სარემონტო სამუშაოები. არიან ოჯახები, რომლებსაც საკომპენსაციო თანხა გადაუხადეს, მაგრამ ისინი ისევ უბინაოდ არიან. მათ გაძვირების გამო საცხოვრებელი ფართი ვერ იყიდეს, აღებული ფული ქირაში დახარჯეს. საცხოვრებელი ფართით მათი დაკმაყოფილების საკითხი აღარ განიხილება.

წინა ხელისუფლების დროს ხშირი იყო იმ ობიექტების გასხვისება, სადაც დევნილები ცხოვრობდნენ. მათ იძულებით ასახლებდნენ და პატარა კომპენსაციებს უხდიდნენ. ამიტომ ბევრი მათგანი ისევ თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი. სამწუხაროდ, დევნილები შეკითხვებზე პასუხებსაც ვერ იღებენ. ისინი აწყდებიან ბიუროკრატიზმსა და გულგრილობას დევნილთა საქმეების სამინისტროს ჩინოსნებისაგან. დევნილებმა არ იციან, ვინ რამდენი ქულა მიიღო და როდის გადაწყდება მათი ფართით დაკმაყოფილების საკითხი.



***— ანუ სამინისტროს მუშაობა უფრო ღია უნდა გახდეს?***

— დიახ. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს მუშაობა და გეგმები უნდა გახდეს გამჭვირვალე. მისაღებია ზოგიერთი კანონიც. მაგალითად, კანონი დევნილთა ოჯახებისათვის მიყენებული ზარალის დადგენის, ანუ რესტიტუციის შესახებ.

***— ეს კანონი ხომ მიიღო რამდენიმე წლის წინ პარლამენტმა?***

— მიიღო, მაგრამ ის მარტო ცხინვალის რეგიონს ეხება. ეს კანონიც არ სრულდება. აფხაზეთის შემთხვევაში კანონიც არ არსებობს. რომ იყოს ასეთი კანონი, ჩვენ შევძლებდით, დადგენილი ზარალის გადახდა რუსეთისთვის დაგვეკისრებინა. სხვათა შორის, უმაღლეს საბჭოში შექმნილმა ჯგუფმა ჯემალ გამახარიას ხელმძღვანელობით შევაგროვეთ მასალები აფხაზეთში მომხდარ ეთნიკურ წმენდაზე. მზადდება გამოსაცემად ინგლისურენოვანი წიგნი ამის თაობაზე. მისი რეზიუმე საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე გავაცანით.

***— რუსეთმა სამხედრო წვრთნები დაიწყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე ყირიმსა და სომხეთში..***

— ევრაზიაში რუსეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც ხელს უშლის მშვიდობას. კარგია, რომ დასავლეთმა სანქციების გამოყენება დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ იმის გამო, რაც მან



უკრაინაში ჩაიდინა. როცა რუსეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას არღვევდა და გვეომებოდა, მაშინ მის წინააღმდეგ ზომებს არ ატარებდნენ. სანქციებმა რუსეთი დაასუსტა. რუსეთის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გაუარესდა. რუსეთი ომის გაჩაღების თემით აშანტაჟებს ყველას. ეს წვრთნებიც ამის დადასტურებაა, მაგრამ რუსეთი ვერაფერს მიაღწევს. ცივილიზებული სამყარო კატაკლიზმების გამეორებას არ დაუშვებს. ჩვენ კი, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა.

***— როგორ?***

— კარგი იქნებოდა, გადმოგვეღო შვეიცარიისა და ისრაელის გამოცდილება. ამ სახელმწიფოებს ჰყავთ მობილური, თანამედროვედ შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი რეზერვი. ამ საქმეში უნდა ჩავრთოთ ვეტერანები. მათ დიდი გამოცდილება მიიღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. საუბედუროდ, ვეტერანების ოჯახები ისევ აწყდებიან პრობლემებს. მაგალითად, აფხაზეთიდან დევნილებში არიან ოჯახები, რომლებსაც მარჩენალი ომში დაკარგეს. იმის გამო, რომ მოწმეებიც დაიღუპნენ, ვერ დასტურდება ოჯახის უფროსების ომში დაკარგვა. ასეთი ოჯახები ვერ იღებენ მარჩენალდაკარგულის სტატუსს.

# ჯემალ გამახარია: აფხაზეთში რუსეთის ბაზები რომ არ იყოს, შევრიგდებოდით“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია აცხადებს, რომ მიუხედავად აკრძალვებისა, მიუხედავად პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბარიერებისა და მავთულხლართების გაბმისა, რუსეთი ვერ შეუშლის ხელს ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობების დათბობას. ინტერვიუ ჯემალ გამახარიასთან.**



***— ბატონო ჯემალ, როგორია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივები? ახლახან ევროპის სუპერთასის საფეხბურთო მატჩზე დასასწრებად აფხაზი ახალგაზრდები ჩამოსულან და ძალიან კმაყოფილებიც წასულან აქედან. აფხაზ სეპარატისტთა წრეებში ამის გამო აღშფოთებულან. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ? ვინ იყვნენ ის ახალგაზრდები?***

— არ ვიცი, ვინ იყვნენ ის ახალგაზრდები. რომც ვიცოდე, არ არის აუცილებელი, ამის ხმამაღლა გაცხადება. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ამასთან დაკავშირებით აფხაზეთში ორი განცხადება გაკეთდა, ეს როგორ შეიძლებაო, მაგრამ არავინ დაუსახელებიათ. ნაკლებად მაინტერესებს, სეპარატისტული და პრორუსული ძალების პოზიცია და მათი უარყოფითი განცხადებები.

***— რომ არ იყოს რუსეთის ბაზა და რუსული კონტროლი, შერიგება, რომელზეც არაერთხელ გვისაუბრია, მოხდებოდა?***

— ვფიქრობ, რომ არ იყოს რუსეთის ბაზა და რუსული კონტროლი, შევრიგდებოდით. ის ე.წ. საზღვარი (რომელსაც რუსები აკონტროლებენ) რომ არ იყოს, მაშინ ურთიერთობა იქნებოდა ძალიან ინტენსიური. იქითაც გადავიდოდა ხალხი, აქეთაც გადმოვიდოდნენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიქმნებოდა ძალიან კარგი ფონი, სერიოზული პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და შეთანხმებისთვის. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, უნდობლობის ამ სტერეოტიპის დამსხვრევა.

***— ბატონო ჯემალ, ჩვენს საზოგადოებაში ძალიან წუხდნენ იმის გამო, რომ აფხაზ ახალგაზრდებს ქართველებთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონდათ, როგორც უფროს თაობას და შერიგებაც გაძნელდებოდა. ასეთი ურთიერთობები შეიძლება წაადგეს სამომავლო საქმეს?***

## რუსეთი წვრთნებს ნატოს საპირწონედ ატარებს

— რასაკვირველია, შეიძლება წაადგეს. გარკვეული ძალების აღშფოთებაც სწორედ ამით არის გამოწვეული. თქვენ ახსენეთ უფროსი თაობა, რომლებსაც აფხაზებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალგაზრდებთან, რომელსაც ქართველებთან ურთიერთობა არ ჰქონიათ, რეალურად, არ იცნობენ თბილისს და აქეთ საქართველოს, იცნობენ მხოლოდ იმ იდეოლოგიის ჭრილში, რომელიც აქვთ ოკუპანტებს.

***— აფხაზეთში ქართველების გარკვეული ნაწილი დღემდე ცხოვრობს, რამდენადაც ვიცი, მათი რიცხვი 50 ათასამდე აღწევს. როგორი ურთიერთობები აქვთ აფხაზებსა და ქართველებს აფხაზეთში დღეს?***

— როგორც ვიცი, უბრალო ადამიანებს, მეზობელს მეზობელთან, ნათესავს ნათესავთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ იქ არის ანტიქართული პოლიტიკა, რომლის მიხედვით ქართველს იქ არ უნდა ჰქონდეს არანაირი პოლიტიკური უფლებები, იმ ე.წ. არჩევნებში არ უნდა მონაწილეობდნენ, დე ფაქტო ხელისუფლებაზე გავლენას არ უნდა ახდენდნენ. ასევე გავლენას არ უნდა ახდენდნენ არჩევნებზე. უნდა იყოს მუშა, რომელსაც რაღაც შემოსავალი მოაქვს, რომელიც შეიძლება, როცა მოგეპრიანება, გაძარცვო, ან წაიყვანო, მონად ამუშაო და ა.შ. ეს არის პოლიტიკა, მაგრამ ადამიანურ დონეზე ურთიერთობა არის ძალიან კარგი. ისე ვიცი, როგორც ქართველებისაგან, ისე აფხაზებისაგან.

***— ადრე მათ ე.წ. არჩევნებში ხომ ძალით აღებინებდნენ მონაწილეობას. ე.ი. ეს პოლიტიკა შეიცვალა.***

— მე არ მახსოვს, მათ ე.წ. არჩევნებში თუ ძალით აღებინებდნენ მონაწილეობას. იქ, უბრალოდ, საჭირო იყო რამდენიმე ათეული ადამიანის დაფიქსირება.

***— ხაჯიმბა პუტინის ფავორიტია, მაგრამ აფხაზური საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ მას აფხაზეთში არსებული ქონების უცხოელებისთვის მიყიდვას. ის ქონება ხომ ქართველებისაც არის. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?***

— აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს თვალყურს ვადევნებ. გამიკვირდა, იქ ისეთმა ადამიანებმა გამოხატეს თანხმობა, რომ გაოცებული დავრჩი, მაგრამ ერთია, როცა ამას ცნობილი ადამიანები დაეთანხმნენ, სხვა არის, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი არის წინააღმდეგი. ამიტომ ალბათ გამონახავენ ოქროს შუალედს. ქონებას ყიდიან რუსებზე, მაგრამ მაინც არ მგონია, ამ ეტაპზე ხელაღებით ყველაფერი რუსებს მიყიდონ.

***— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.***

— დიახ, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც რუსებს უნდათ, ძალიან გაართულებს ჩვენს მდგომარეობას.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ისლამური სახელმწიფო“ მიმდევრებს სტამბულის დაპყრობისკენ მოუწოდებს



„ისლამური სახელმწიფო“ მორიგ მუქარას ავრცელებს. „აისისის“ დაჯგუფების წევრები ვიდეო მიმართვას თურქი ხალხის მიმართ აკეთებენ და საკუთარ მიმდევრებს სტამბოლის დაპყრობისკენ მოუწოდებენ.

რადიკალი ექსტრემისტები ვიდეო-მიმართვაში თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეპ ტაიპ ერდოღანს „მოღალატეს“ უწოდებენ და აცხადებენ, რომ მან ქვეყანა „ჯვაროსნებსა და რასისტ ქურთებს მიჰყიდა“.

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები უკმაყოფილოები არიან ასევე იმით, რომ თურქეთის ხელისუფლებამ შეერთებულ შტატებს საკუთარი ავიაბაზების გამოყენების უფლება მისცა.

სირიის ქალაქ პალმირაში კი „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა არქეოლოგი ხალედ ასაადი მოკლეს. „ბიბისის“ ცნობით, არქეოლოგი ქალაქის უძველეს ნანგრევებს დარაჯობდა, როდესაც ის წლის დასაწყისში გაიტაცეს.

82 წლის ხალედ ასაადის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მისი ცხედარი ცოტა ხნის წინ ექსტრემისტებმა პალმირას მთავარ მოედანზე დაკიდეს.

მოხუცი არქეოლოგი ქალაქ პალმირაში 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა. იგი უძველესი ნანგრევების შენარჩუნებას ცდილობდა.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ სირიის ისტორიული ქალაქი პალმირა რამდენიმე თვის წინ დაიკავა და იქ არსებული უძველესი ძეგლები გაანადგურა. პალმირა უძველესი არამეული ქალაქია, რომელიც სირიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი ცნობილია 2 000 წლის წინ აგებული ნაგებობებითა და ტაძრებით. მას ასევე სტრატეგიული ადგილი უკავია და დედაქალაქ დამასკოსა და ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამ ფონზე, კოალიციური ძალები ჯიჰადისტთა პოზიციებს ბომბავენ. ბოლო 24 საათის განმავლობაში სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე 20-მდე ავიადარტყმა განხორციელდა. მსხვერპლის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ გავრცელებულა. ისლამისტთა წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიცია საჰაერო დარტყმებს გასული წლის სექტემბრიდან ახორციელებს.

# სააკაშვილი: საქართველოში დიდი მხარდაჭერა მაქვს“

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ირწმუნება, რომ სამშობლოში მოსახლეობის კარგი მხარდაჭერა აქვს.

— მე შემეძლო საქართველოში დარჩენა. მე იქ ხალხის დიდი მხარდაჭერა მაქვს. კარგი რეიტინგი აქვს ჩემს პარტიასაც, მაგრამ ვფიქრობ, იქ ისედაც დიდხანს ვიჯექი. მე არ მინდოდა იქ ნებისმიერი გზით დარჩენა, არ მინდოდა სამოქალაქო ომი. საქართველომ ჩემგან უნდა დაისვენოს. ამას სერიოზულად ვამბობ, — აცხადებს ოდესის გუბერნატორი „ნოვაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



ასევე მიხეილ სააკაშვილი რობერტ სტურუასთან დაპირისპირების მიზეზზე საუბრობს.

— იცით, რატომ განაწყენდა სტურუა? მისი მეგობრების შვილი მარიხუანას მოწევისთვის დააკავეს. მან დარეკა შსს-ში, კარგი ბიჭია, გაუშვითო. იქიდან კი უპასუხეს, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ კანონს ვერ დავარღვევთო. საბჭოთა ინტელიგენცია კი საბჭოთა კანონებით იყო ცხოვრებას შეჩვეული და მსგავსი რამ მათთვის წარმოუდგენელი იყო. აღმოჩნდა, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, — იხსენებს სააკაშვილი.

რაც შეეხება „ქურდებს“, სააკაშვილი ამბობს, რომ მათ საკუთარი ბიზნესი ოდესიდან გადააქვთ.

— მათ პრაღაში უკვე ჰქონდათ დიდი შეკრება და აქედან წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ მიშორებენ თავიდან და რატომ არ მკლავენ... იმიტომ, რომ მხდალები არიან. ყველა პროფესიონალი დამნაშავე მშიშარაა და სისტემაც ასეთივე აქვთ, -აღნიშნა საქართველოს ექსპრეზიდენტმა.

# ევროკავშირი მიგრანტების მოზღვავებულ რაოდენობას ვერ უმკლავდება



ევროკავშირის საზღვრებთან მიგრანტების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. ივლისის მონაცემებით, არალეგალთა რაოდენობა 107 500 შეადგენდა. მხოლოდ გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობამ წლის ბოლომდე შესაძლოა 750 ათასს მიაღწიოს. გერმანიაში ძირითადად სირიიდან და ბალკანეთის ქვეყნებიდან ჩადიან.

მიგრანტების რიცხვი რეკორდულად გაიზარდა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთშიც. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა შექმნილი პორტ კალეში. ბრიტანეთის ტერიტორიაზე გადასვლის მცდელობისთვის პოლიციამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ასობით ადამიანი დააკავა.

ევროპაში აფრიკელი მიგრანტები ხმელთაშუა ზღვის გავლით ჩადიან. წელს ამ გზით 240 000 მიგრანტი უკვე შეეცადა ევროპის საზღვრამდე მიღწევას. ისინი თავდაპირველად იტალიის ან საბერძნეთის სანაპიროებამდე ჩადიან, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში ცდილობენ გადასვლას.

გაერო-ს მონაცემებით, გასული კვირის განმავლობაში მხოლოდ საბერძნეთში 21 000 მიგრანტი ჩავიდა. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ათობით ათასი ევრო გამოყვეს.

სლოვაკეთს სირიიდან მხოლოდ ქრისტიანი ლტოლვილების მიღება შეუძლია, — ამის შესახებ „ბიბისის“ ცნობით, ქვეყნის მთავრობაში განაცხადეს.

მათი თქმით, მუსლიმებს სლოვაკეთის საზოგადოებაში ინტეგრირება არ შეუძლიათ.

— ჩვენ გვინდა ევროპას მიგრაციის საკითხებში დავეხმაროთ, შეგვიძლია მივიღოთ 800 მუსლიმანი, მაგრამ სლოვაკეთში მეჩეთები არ გვაქვს, ამიტომაც როგორ მოახერხებენ მუსლიმანები ინტეგრირებას, თუ მათ აქ არ მოეწონებათ? — აღნიშნა სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ივან მეტიკმა. მისივე თქმით, ქვეყანაში ჩასულ ლტოლვილებს ისინი ჰკითხავენ რელიგიის შესახებ. მატიკი მიიჩნევს, რომ ეს არ იქნება დისკრიმინაცია.

ევროკავშირის გეგმის მიხედვით, დაახლოებით 40 000 ლტოლვილი განაწილდება სხვადასხვა ქვეყანაში, სლოვაკეთმა ის 200 ლტოლვილი უნდა მიიღოს, რომლებიც ამჟამად იტალიის, თურქეთისა და საბერძნეთის ბანაკებში იმყოფებიან.

# საფრანგეთის, გერმანიისა და უკრაინის ლიდერები ბერლინში შეხვედრას გამართავენ



საფრანგეთის, გერმანიისა და უკრაინის ლიდერები მომავალ კვირას ბერლინში შეხვედრას გამართავენ. უკრაინული მედიის ცნობით, ისინი აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შესახებ იმსჯელებენ.

— სამხედრო ოპერაცია უნდა შეწყდეს. შეიარაღება უნდა გაიტანონ ტერიტორიიდან, ასევე ჩვენ გვჭირდება პირობები იმისათვის, რომ დონბასში არჩევნები ჩატარდეს. ვიმედოვნებ, ორშაბათის შეხვედრა მოგვცემს შესაძლებლობას, ეს საკითხები მოვაგვაროთ. გამოსავალი მაქსიმუმ დეკემბრის ბოლომდე უნდა ვიპოვოთ, — განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორან ფაბიუსმა.

აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებმა ბოლო რამდენიმე დღეა ინტენსიური სახე მიიღო. თებერვალში მინსკში მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, აღმოსავლეთ უკრაინაში დღემდე დაძაბული ვითარებაა. ამბოხებულები მარიუპოლის დაკავებას ცდილობენ, რომელიც სტრატეგიულ ადგილას მდებარეობს და რომლის გავლითაც ამბოხებულები ყირიმთან დაკავშირებას შეძლებენ.

რუსეთის საგარეო მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, ის დონბასში სიტუაციის დაძაბვის გამო შეშფოთებულია. უწყების ხელმძღვანელმა „ბოევიკებსა“ და უკრაინელ მებრძოლებს შორის არსებულ გამყოფ ხაზს ფრონტი უწოდა.

— ჩვენ ძალიან შეშფოთებულნი ვართ... ჩვენ გვაშფოთებს ფრონტზე არსებული სიტუაცია, უკვე შეიძლება ითქვას, არა გამყოფი ხაზი, არამედ ფრონტი. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები საგანგაშოა და ის მაგონებს საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადებას, — განაცხადა ლავროვმა და უკრაინას მინკის შეთანხმების შესრულებისკენ მოუწოდა:

— აღარ არის საჭირო ექსპერიმენტები და ბედის გამოცდა.

2014 წლის აპრილის შემდეგ, დონბასში საბრძოლო მოქმედებებს 6 500-ზე მეტი ადამიანი შეეწირა.

# ნატო მასშტაბურ საჰაერო წვრთნას იწყებს

ნატო ე.წ. ცივი ომის შემდეგ ყველაზე მასშტაბურ საჰაერო წვრთნას იწყებს. „ტელეგრაფის“ ცნობით, სამხედრო სწავლება 13 სექტემბრამდე გაგრძელდება. მასში 11 ქვეყნიდან 5 ათასი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის ბრიტანელი, ამერიკელი, გერმანელი და ფრანგი ჯარისკაცებიც.

სწავლება ბულგარეთის, იტალიის, რუმინეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე ჩატარდება. სამხედრო წვრთნის მიზანს საჰაერო ძალების მზადყოფნის შემოწმება და ალიანსის ძალების დახვეწა წარმოადგენს.

ნატო-მ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთი სამხედრო სწავლება ჩაატარა ევროპის და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. პარალელურად, წვრთნებს მართავს რუსეთიც.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა პირებმა 18 აგვისტოს განაცხადეს, რომ მეკავშირეებმა მასშტაბური წვრთნები მას შემდეგ დაიწყეს, რაც უკრაინის აღმოსავლეთში პრორუსი ტერორისტების მონაწილეობით საბრძოლო მოქმედებები დაიწყო.

ამერიკელი სამხედროების ცნობით, 26 აგვისტოს ათასი პარაშუტისტი და სამხედრო აღჭურვილობა მეკავშირეების სამხედრო ვერტმფრენებიდან გერმანულ სამხედრო ბაზაზე ხოენფელსში დაეშვება.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იური რიჟოვი თვლის, რომ რუსეთი უკვე დამარცხდა და ინტელექტუალური ადამიანების ამ ქვეყანაში დარჩენას აზრი არ აქვს, მისი აზრით, ისტორია მეორდება — ყველაფერი დასრულდება ისე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, თუმცა, შესაძლოა, უფრო დრამატულადაც.

აანალიზებს რა რუსეთში არსებულ სიტუაციას ყველა მიმართულებით, იგი „მეორე ცივ ომში“ რუსეთის კრახს წინასწარმეტყველებს, ხოლო პუტინს და მის გარემოცვას, მისი აზრით, სრული პოლიტიკური მარცხი ელოდება.



აკადემიკოსის განცხადებით, რუსეთმა ვერ შესძლო „პირველ ცივ ომში“ გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი იმ დროს განვითარების დონით მის მოწინააღმდეგეებს უთანაბრდებოდა, ხოლო რუსეთის თანამედროვე ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა მას შანსს გამარჯვებაზე ფაქტიურად არ უტოვებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ექიმი სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარის და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას, გვაქვს ყველა ზომის „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ. 2-14-07-72, 593-60-60-44. — ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისაგან, თამბაქოს მწეველობისგან განკურნება, ნერვული სტატუსის, უძილობის მოწესრიგება, მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა სექსუალური პრობლემის მოწესრიგება (იმპოტენცია, ფრიგიდულობა, კლიმაქსის ჩათვლით), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოწესრიგება ფიტოთერაპიული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. 599 65-43-66; 592 25-38-26. ნინო ექიმი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# დიდუბის კალათბურთის დარბაზში ზაზა ფაჩულიას სახელობის აკადემია გაიხსნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლოში კალათბურთის განვითარებისა და ზოგადად სპორტში ახალგაზრდობის მეტი ჩართულობისთვის.

დიდუბის საკალათბურთო სპორტული ბაზა მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური რეზერვის 58-ე საშუალო სკოლა ლევან ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით 1982 წელს დაარსდა და „კალათბურთის სამჭედლოდ“ იქცა. სკოლაში აღიზარდნენ ცნობილი კალათბურთელები — ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, მიხეილ ახვლედიანი, მანუჩარ მარკოიშვილი, ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე.

2007 წელს კალათბურთის ოლიმპიური რეზერვის 58-ე სკოლას საშუალო სკოლა გამოეყო და მხოლოდ სპორტული პროფილი შეინარჩუნა. 2014 წლიდან დიდუბის კომპლექსი მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრად გადაკეთდა და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის სავარჯიშოდ იქნა გამოყენებული.

**ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

— ჩვენი სურვილია, აქ მოეწყოს ნბა-ს სტანდარტების კალათბურთის აკადემია. ჩვენს სახელოვან კალათბურთელს, ჩვენთვის საამაყო ზაზა ფაჩულიას წლების განმავლობაში ჰქონდა სურვილი, გაეკეთებინა კალათბურთის აკადემია, რაც აქამდე ვერ მოხერხდა. მიხარია, რომ ჩვენი გადაწყვეტილებით ეს შევძელით. ეს სიმბოლური გადაწყვეტილებაა, რადგან ჩვენი ნაკრების სახელოვანი კალათბურთელების უმეტესობა და პირადად ზაზა ფაჩულია წლების განმავლობაში აქ თამაშობდნენ. ამ დარბაზს ჩვენს კალათბურთელებს სრულიად უსასყიდლოდ გადავცემთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ზაზა ფაჩულიას შესაძლებლობა ექნება, საკუთარი ცოდნით, უნარით, გამოცდილებით, გაზარდოს არაერთი სახელოვანი კალათბურთელი, რომლებითაც ვიამაყებთ.

**მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:**

— სიმბოლურია ის, რომ ზაზა თავად ამ დარბაზშია გაზრდილი და ეს გარემონტებული და განახლებული კომპლექსი მას მმართველობაში გადაეცემა. ზაზას ნბა-ს და ევროპული კალათბურთის გამოცდილება უმაგრებს ზურგს, რაც მას დაეხმარება, თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგოს და ხელი შეუწყოს საქართველოში კალათბურთის განვითარებას. ასეთი საკალათბურთო ცენტრი ალბათ იქნება რამდენიმე, რადგან ჩვენს ბიჭებს აქვთ სურვილი, თავადაც გახსნან ანალოგიური აკადემიები და ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაში მათ დავეხმარებით. ასევე კალათბურთის ფედერაციასაც სურს, საკუთარი ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებებისთვის ჰქონდეს საკალათბურთო დარბაზი და ვნახოთ, თუკი სათანადოდ გამართული პროექტი გვექნება, სახელმწიფო ყველანაირად გვერდში დაგვიდგება.

**ზაზა ფაჩულია, ეროვნული ნაკრების კაპიტანი:**

— ეს ყველაფერი მოხდა ძალიან მოულოდნელად და ძალიან მალე. ჩამოსული ვიყავი სულ სხვა გეგმებით, ნაკრების შეკრებაზე, თუმცა სურვილი, რომ გამეხსნა საკუთარი საკალათბურთო სკოლა, ყოველთვის გამაჩნდა, მაგრამ დრო არ მქონდა განსაზღვრული, თუ როდის გავაკეთებდი და როგორი იქნებოდა საკალათბურთო აკადემია. ესაა დიდი პასუხისმგებლობა ჩემთვის. ყველაფერს ვეცდები საიმისოდ, რომ გავამართლო ნდობა და ეს სკოლა იყოს სამაგალითო მთელს ქვეყანაში. გეგმებს რაც შეეხება, ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ. ამაზე ფიქრი დაწყებული მაქვს და მონახაზიც არსებობს, თუმცა ჯერ ეროვნული ნაკრებით ვარ დაკავებული და სანამ ევროპის ჩემპიონატი არ დასრულდება, აკადემია ფუნქციონირებას არ დაიწყებს. უახლოეს მომავალში ბოლომდე ჩამოვყალიბდები და უზრუნველვყოფ, რომ დიდუბის დარბაზში უმაღლესი დონის საკალათბურთო კერა ფუნქციონირებდეს.

# ფიფამ „კარპატს“ „ზესტაფონის“ დავალიანების გადახდა დააკისრა

საფეხბურთო საზოგადოებას კარგად ახსოვს გახმაურებული ისტორია, რომელიც ერთ დროს საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ფეხბურთელის მურთაზ დაუშვილის უკრაინულ ლვოვის „კარპატში“ სკანდალურ გადასვლასთანაა დაკავშირებული.

დაუშვილმა, რომელიც საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ აღზრდილია, იმერული კლუბის რიგებში 6 წელი გაატარა. 2011 წლის ზაფხულში, მაშინ როდესაც იმერული გუნდი უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩებისათვის მზადებაზე იყო კონცენტრირებული, ლვოვის „კარპატსა“ და მურთაზ დაუშვილს შორის გაფორმდა წინასწარი კონტრაქტი. ამის შესახებ ინფორმაცია და კონტრაქტის გაფორმების დამადასტურებელი ფოტომასალა თავად უკრაინელებმა გაავრცელეს, თუმცა შემდგომ, საქმეში ქართული მხარის ჩართვის შემდეგ, ინტერნეტ-სივრციდან ამ მასალის სასწრაფოდ მოშორება და საქმის დეტალების გასაიდუმლოება სცადეს.

იმერულმა კლუბმა, იმის გათვალისწინებით, რომ მურთაზ დაუშვილს თავის ახალ კლუბში გადასვლის მომენტში არ შესრულებია 23 წელი, ფიფას შესაბამისი რეგულაციის შესაბამისად, ლვოველთაგან მოითხოვა ფეხბურთელის აღზრდისა და მომზადებისათვის კუთვნილი კომპენსაცია.

საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა“ ამ საქმესთან დაკავშირებით მიმართა შესაბამის ინსტანციებს — საქმის ჯერ ფიფას დავათა განმხილველ პალატაში, შემდეგ კი ლოზანის სპორტულ არბიტრაჟში ხანგრძლივი შესწავლისა და განხილვის შემდეგ, ამ უკანასკნელმა ინსტანციამ ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით გამოიტანა თავისი საბოლოო ვერდიქტი და მურთაზ დაუშვილის აღზრდისა და მომზადებისათვის გაწეული ხარჯების საკომპენსაციოდ, ლვოვის საფეხბურთო კლუბ „კარპატის“ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ სასარგებლოდ 180.000 ევროს გადახდა დააკისრა.

უკრაინულმა კლუბმა არც ლოზანის სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება იჩქარა და ამის შემდეგ საქმეში უკვე ფიფას სადისციპლინო კომიტეტი ჩაერთო. მიმდინარე წლის 12 აგვისტოს საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა“ მიიღო ფიფას დისციპლინართა მიერ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის სახელზე გაგზავნილი წერილის ასლი:

— მოგმართავთ ზემოაღნიშნულ საქმესთან (ფეხბურთელ მურთაზ დაუშვილის წვრთნისა და აღზრდის კომპენსაცია) დაკავშირებით, ვინაიდან საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საფეხბურთო კლუბ ლვოვის „კარპატს“ კვლავ არ შეუსრულებია ლოზანის არბიტრაჟის 2014 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული კი წარმოადგენს ფიფას სადისციპლინო კოდექსის 64-ე მუხლის დარღვევას, რაც ექვემდებარება სადისციპლინო საქმის განხილვას ფიფას სადისციპლინო კომიტეტის მიერ. შესაბამისად გატყობინებთ, რომ ფიფას სადისციპლინო კომიტეტის მიერ დაწყებულია სადისციპლინო საქმის განხილვა საფეხბურთო კლუბ ლვოვის „კარპატის“ წინააღმდეგ. აღნიშნული სადისციპლინო საქმე განიხილება ფიფას სადისციპლინო კომიტეტის მომდევნო სხდომაზე და შესაძლოა დაწესდეს რომელიმე სადისციპლინო სახის სანქცია (ჯარიმა, ქულების დაკლება, ქვედა ლიგაში დაქვეითება). აღნიშნულის გათვალისწინებით ვავალდებულებთ საფეხბურთო კლუბ ლვოვის „კარპატს“, დაუყოვნებლივ გადაუხადოს საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ 180.000 ევრო. იმ შემთხვევაში, თუ კლუბი დაუყოვნებლივ დაფარავს ზემოაღნიშნულ დავალიანებას და ჩვენ გადმოგვეგზავნება გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადისციპლინო საქმის წარმოება დაიხურება. ვთხოვთ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას, წინამდებარე წერილი საფეხბურთო კლუბ ლვოვის „კარპატს“ დაუყოვნებლივ გადაუგზავნოთ. მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.



# საქართველოს თასი სენსაციებით ჩატარდა

გაიმართა საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები, რომელშიც რამდენიმე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. კერძოდ კი, ბოლნისის „სიონმა“ ვერ შეძლო საკუთარ მოედანზე „რუსთავი“ დაემარცხებინა, ხოლო პირველლიგელმა „ჭიათურამ“ სტუმრად მოუგო უმაღლესლიგელ მარტვილის „მერანს“.



### ჩხერიმელა — ტორპედო 1:2

0:1 ბაბუნაშვილი (15), 0:2 კაპანაძე (43), 1:2 ვეკუა (82პ)

**ჩხერიმელა:** ლომსაძე, სანიკიძე, ლობჟანიძე, კიკნაძე, ვეკუა, წულაია, ჩუკურა, აშვეთია, მუმლაძე (ქურდობაძე 71), ტორაძე (ბარბაქაძე 46), კოუაკო (სეკო 65)

**ტორპედო:** თევდორაძე, ადამაძე, მირცხულავა, მამასახლისი, ბაბუნაშვილი (ხურციძე 78), კუხიანიძე (კვერნაძე 46), შინაგორიძე, გოგუაძე (კირკიტაძე 33), ნერგაძე, კაპანაძე, ქიმაძე

ქუთაისელთა თავკაცმა გიორგი დარასელიამ პირველ სათასო მატჩში ეროვნული ჩემპიონატისგან განსხვავებული თერთმეტეული დააყენა. მეკარე თევდორაძესთან ერთად სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ ქიმაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, კუხიანიძე, შინდაგორიძე და კაპანაძე.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. პირველი სახიფათო მომენტი „ჩხერიმელას“ კართან მერვე წუთზე შეიქმნა — მეკარესთან პირისპირ გასულმა შინდაგორიძემ ვერ დაარტყა ზუსტად. საპასუხოდ ხარაგაულელთა ლეგიონერები, ჩუკურა და კოუაკო აქტიურობდნენ, მაგრამ თევდორაძე არც ერთხელ არ ჩართულა თამაშში.

მე-15 წუთზე ბაბუნაშვილმა შორეული ზუსტი დარტყმით „ტორპედო“ დააწინაურა. გატანილი გოლის შემდეგ ქუთათურები კვლავ უტევდნენ, მაგრამ ანგარიშის გაზრდა მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოახერხეს. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თორნიკე კაპანაძემ გადაგზავნა ხარაგაულელთა კარში — 0:2.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ტორპედო სრულ უპირატესობას დაეუფლა. ანგარიშის კიდევ უფრო გაზრდის საშუალება ჰქონდათ შინდაგორიძეს, კირკიტაძეს და კვერნაძეს.

მატჩის 82-ე წუთზე ქუთაისელთა საჯარიმოში ერთ-ერთ ტორპედოელს ბურთი ხელზე მოხვდა და თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც გოლად ილია ვეკუამ აქცია — 1:2.

გატანილი გოლის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ. ანგარიშის გათანაბრებასთან ახლოს ჯერ სეკო, შემდეგ კი აშვეთია იყო, მაგრამ მეკარე თევდორაძემ კარგად ითამაშა.

საბოლოოდ ანგარიში აღარ შეცვლილა და მატჩიც ტორპედოელთა გამარჯვებით დასრულდა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: ბეთლემი-შუქურა 1:2; კოლხეთი (ხ)-საპოვნელა 1:2; გურია-სამეგრელო 7:0; სიონი-რუსთავი 0:0; სამტრედია-მაჭახელა 2:0; მერანი-ჭიათურა 0:1; ზუგდიდი-იმერეთი 2:1; კოლხეთი (ფ)-მეშახტე 2:0;

განმეორებითი მატჩები 25 და 26 აგვისტოს გაიმართება.

# საქართველოს ნაკრების მეტოქეები ამხანაგურ მატჩებში ყოჩაღობენ



საქართველოს ნაკრების მეტოქეები ევრობასკეტზე აგრძელებენ მოსამზადებელ პროცესს. მათგან ორი გუნდი — ხორვატია და მაკედონია ლიტვაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობენ და მეტოქეებიც სოლიდური ჰყავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ხორვატებს ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი, ოსკარ ლაფაიეტი დაუშავდათ, მაინც სოლიდურად გამოიყურებიან და თურქეთის ნაკრები იოლად დაამარცხეს — 74:66.

ხორვატები მატჩის დასაწყისში ცუდად გამოიყურებოდნენ და პირველი მეოთხედი 13:17 წააგეს, მაგრამ ველიმირ პერასოვიჩის გუნდმა თამაში დაალაგა და მატჩის მოგება ეჭვქვეშ აღარ დაუყენებია.

ხორვატთა შორის საუკეთესო იყო „ბრუკლინ ნეთსის“ უკანახაზელი ბოიან ბოგდანოვიჩი, რომელმაც 25 ქულა შესძინა გუნდს. ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა ანტე ტომიჩს (10 ქულა, 9 მოხსნა).

მოულოდნელზე კარგად ატარებს სპარინგ მატჩებს მაკედონიის ნაკრები. მართალია, ამჯერად ლიტველებთან წააგეს, მაგრამ დიდი ბრძოლა გაუმართეს და მატჩის ბოლო წუთებამდე ლიდერობდნენ. მარიან სრბინოვსკის შეგირდები დასკვნითი მეოთხედის წინ 8 ქულით იგებდნენ, თუმცა, ბოლო მეოთხედი 12:26 დათმეს და 62:68 წააგეს.

მაკედონიელთა შემადგენლობაში ორმაგი დუბლი (13 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულა სამარძისკიმ, ათქულიან ზღვარს გადასცდნენ სტოიანოვსკი (14), კოსტოსკი (11) და სიმონოვსკი (10).

# მიგინეიშვილი 4 თამაშით და 800 ლარით დასაჯეს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ცხინვალის“ მეკარე ომარ მიგინეიშვილი 4 თამაშით და 800 ლარით დააჯარიმა (მან ერთი თამაში უკვე გამოტოვა), ამასთან, მიგინეიშვილს პირობითი ერთწლიანი დისკვალიფიკაციაც მიეცა.

„საბურთალოსა“ და „ცხინვალის“ ამხანაგური მატჩისას, მე-17 წუთზე ცხინვალელთა კარში პენალტი დაინიშნა. მიგინეიშვილმა უცენზურო სიტყვებით გამოხატა თავისი უკმაყოფილება და სიტყვიერად შეურაცხყო მსაჯები, რის გამოც მოედნიდან გააძევეს, ხოლო მატჩის შემდეგ მსაჯებთან იმის გასარკვევად მივიდა, თუ რატომ დაინიშნა პენალტი, ამას კი ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა და, შესაბამისად, მიგინეიშვილის სასჯელმაც არ დააყოვნა.

დავით ცაბაძე, „ცხინვალის“ დირექტორი:

— შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, არც მსაჯი და არც ფეხბურთელი. საკითხი განიხილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა, რომლის წევრთა კომპეტენტურობაში ეჭვი არ გვეპარება. მადლობელი ვართ იმ გარემოების გათვალისწინების გამო, რომ ომარ მიგინეიშვილი ეროვნული ნაკრების კანდიდატია. მან ეროვნულ გუნდში დასაბრუნებლად 17 კილოგრამი დაიკლო და ძალიან გულმოდგინედ ვარჯიშობს. შეცდა და დაისაჯა კიდეც. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში მიგინეიშვილი სამაგალითო იქნება არა მარტო „ცხინვალში“, არამედ მთლიანად ჩვენს ჩემპიონატში სამართლიანი თამაშის წესების დაცვის თვალსაზრისით.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

**18 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ასტანა-აპოელი | 1:0 |
| ლაციო-ლევერკუზენი | 1:0 |
| მანჩესტერი-ბრიუგე | 3:1 |
| ბატე-პარტიზანი | 1:0 |
| სპორტინგი-ცსკა | 2:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-კარდიფი | 1:1 |
| დერბი-მიდლსბრო | 1:1 |
| ჰადერსფილდი-ბრაიტონი | 1:1 |
| იფსვიჩი-ბარნლი | 2:0 |
| მილტონი-ბოლტონი | 1:0 |
| ნოტინგემი-ჩარლტონი | 0:0 |
| როტერჰემი-პრესტონი | 0:0 |

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება. პროსტატიტი, ადენომა [illegible]

მის: მეტრო „დიდუბე“, [illegible], 1-ლი სართ., ბინ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2015, 20 აგვისტო, №194

# კოალა კვადროციკლს თავს დაესხა



ინტერნეტის ჰიტად იქცა ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია თუ როგორ დევნიდა გარკვეული დროის მანძილზე აგრესიული კოალა კვადროციკლზე მჯდომ გოგონას. ამ ვიდეორგოლმა ორ დღეში ფეისბუქში 1,7 მილიონი ნახვა და 30 ათასზე მეტი გადაწერა მოაგროვა.

ვიდეოს ავტორია ავსტრალიის ვიქტორიას შტატში ჰეივუდში მდებარე ფერმის მფლობელი ებონი ჩერჩილი. ვიდეოს დასაწყისში გოგონა ცდილობს თავი დააღწიოს ცხოველის დევნას, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ის ჩერდება და კვადროციკლიდან ატალახებულ გზაზე ხტება, კოალა კი ბორბალს ისე ჩამოეკიდება, როგორც ხის ტოტს. ვიდეოს ფინალურ სცენაში ჩანს, თუ რამ შეუშალა ხელი გოგონას, გაქცეოდა კოალას. გზა მას ძროხების ნახირმა გადაუჭრა.

კვისლენდის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ბილ ელისმა, რომელიც კოალების შესწავლითაა დაკავებული, ცხოველის ქმედებას არატიპიური უწოდა. მისი თქმით, ეს ბალახისმჭამელი ჩანთოსანი ცხოველი, ჩვეულებრივ ადამიანებსა და სატრანსპორტო საშუალებებს ერიდებიან. მან ასევე აღნიშნა, რომ კოალას მეგობრულობაზე წარმოდგენები გაზვიადებულია.

— გარეული კოალები მეტად სახიფათონი არიან. მათ ძალიან ბასრი ბრჭყალები და ძლიერი და ასევე ბასრი კბილები აქვთ. მათ ადამიანის ჯანმრთელობას შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიაყენონ, — განაცხადა ელისმა.

# მშიერი დათვი კარში გაიჭედა



ამერიკის აიდაჰოს შტატის ქალაქ სანდპოინტის მცხოვრებმა დუგ ჰარდერმა საკუთარ სახლში დათვი აღმოაჩინა, რომელსაც თავი კატისთვის განკუთვნილ შესასვლელში ჰქონდა გაჭედილი. ამის თაობაზე დუგმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა.

მამაკაცის თქმით, მან დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვისთანავე სამაშველო სამსახურში დარეკა და დახმარება ითხოვა, მაგრამ დათვმა მათ მოსვლამდე მოახერხა თავის განთავისუფლება და გაიქცა.

ცხოველმა სახლში შეღწევა კატისთვის განკუთვნილი კარის ჭრილიდან სცადა, ვინაიდან ვერ მოახერხა კარის გაღება, საიდანაც მან სახლში რამდენიმე დღით ადრე მოახერხა შეღწევა.

ამასთან დათვის პირველი ვიზიტი 11 აგვისტოს შედგა, როდესაც სახლის პატრონი შვებულებაში იყო და სახლში არ იმყოფებოდა. დაბრუნებულმა დათვის კვალი პირველ სართულზე ყველგან აღმოაჩინა. ბინაში ყველაფერი არეული იყო, შეჭმული იყო ნამცხვარი და შოკოლადი.

ეს დათვების ჰარდერის სახლში სტუმრობის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. მიმდინარე წლის მაისში მან თავისი სახლის მეორე სართულზე დედა დათვი და მისი ორი ბელი აღმოაჩინა, რომლებიც მის მიერ ჩიტებისთვის დატოვებულ საკვებს შეექცეოდნენ.

# ტუალეტში ფარული კამერა აღმოაჩინეს




კალიფორნიის შტატის ქალაქ ბრეაში ერთ-ერთ კაფეში უცნობების მიერ დამონტაჟებული ფარული კამერა აღმოაჩინეს. ამ ინციდენტის გამოძიება ადგილობრივმა პოლიციამ დაიწყო.

სამართალდამცავების ინფორმაციით, მცირე ზომის კამერა ტუალეტში ერთ-ერთი თაროს ქვეშ იქნა აღმოჩენილი. ჩამწერი მოწყობილობის ფოტო, რომლის სიგრძემ დაახლოებით 10 სანტიმეტრი შეადგინა, ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის ტვიტერ-აკაუნტშია განთავსებული. მოგვიანებით იქვე გამოქვეყნდა ადამიანის ფოტოსურათი, რომელიც უშუალოდ კამერის აღმოჩენამდე შენიშნეს ტუალეტთან. პოლიცია ამ პიროვნებას ეძებს.

კაფეების ქსელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელობა მთელი სერიოზულობით ეკიდება კლიენტებისა და საკუთარი თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის საქმეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ჯემალ გამახარია: აფხაზეთში რუსეთის ბაზები რომ არ იყოს, შევრიგდებოდით“

დასაწყისი მე-7 გვერდზე



***— თქვენ ბრძანეთ, რომ გარკვეული საჩივარი მზადდებოდა საერთაშორისო სასამართლოში შესატანად. სარჩელი ხომ არ შეგიტანიათ?***

— სარჩელი ჯერ არ შეგვიტანია, მაგრამ მოსამზადებელი მუშაობა გრძელდება. გარკვეული წინასწარი სამუშაოა ჩასატარებელი. მასალები გროვდება, სექტემბრის პირველ რიცხვებში გვექნება შეხვედრა იმ ადამიანებთან, რომლებმაც უნდა შეიტანონ სარჩელი. როდესაც საკმარის მასალას მოვაგროვებთ, შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ ადამიანის უფლებების იმ უხეშ დარღვევებს, რაც ხდება ენგურს გაღმა. იქნება ეს გადაადგილების უფლების დარღვევა, განათლების უფლების დარღვევა თუ სხვა.

***არ არსებობს უფლება, რომელიც აფხაზეთში არ ირღვევა, მაგრამ განათლებისა და გადაადგილების უფლების დარღვევა იწვევს ყველაზე დიდ პროტესტს, რადგან ყველა იქ მცხოვრებ ადამიანს ეხება.***

— ამჟამად აფხაზეთში რუსეთის ჯარების სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს.

***— წვრთნები, რომელიც ახლა აფხაზეთში მიმდინარეობს, არის ფართომასშტაბიანი წვრთნების შემადგენელი ნაწილია. სამხედრო წვრთნები მთელ სამხრეთ რუსეთში მიმდინარეობს, კერძოდ, ყირიმში, ჩრდილო კავკასიაში, სომხეთში, აფხაზეთსა და ცხინვალში.***

— ანუ რუსეთი ძალის დემონსტრირებას ახდენს?

***— ეს რუსეთისთვის ერთი სამხედრო ოლქია. რუსები ამ წვრთნებს ნატოს წვრთნებს უპირისპირებენ. ნატო ამ დღეებში წვრთნებს ატარებს. იქით ნატო, აქეთ რუსეთი. რუსეთი წვრთნებს ნატოს საპირწონედ ატარებს.***

— აფხაზები თუ მონაწილეობენ იმ წვრთნებში?

***— მონაწილეობენ. აფხაზური შენაერთები რუსულ სამხედრო ნაწილებში შედიან?***

— დიახ. მათ ე.წ. ხელშეკრულება აქვთ დადებული. საერთო წვრთნებია, რომელიც ნატოს წინააღმდეგ ტარდება.

***— საშიში ვითარება ხომ იქმნება, როცა რუსეთი ჩვენს სიახლოვეს სამი მხრიდან ატარებს წვრთნებს — აფხაზეთში, ცხინვალსა და სომხეთში? მოგეხსენებათ, რუსეთმა 1921 წელს სამი მხრიდან შემოგვიტია, 2008 წელს კი ორი მხრიდან.***

— სიტუაციის გართულების შემთხვევაში, ღმერთმა ნუ ქნას, საქმე სამხედრო დაპირისპირებამდე რომ მივიდეს, რასაკვირველია, რუსეთი გაიმეორებს იმას, რაც გააკეთა 2008 წელს და შეიძლება 1921 წელს.

## საერთაშორისო

# კრემლს რუბლის დაცვა აღარ შეუძლია“



სავალუტო რეზერვის ამჟამინდელი მოცულობა, რუბლის კურსის შენარჩუნების საშუალებას არ იძლევა.

რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, 19 აგვისტოს ერთი დოლარი 65,5 რუსული რუბლი ღირს, ხოლო ერთი ევრო — 72,57 რუბლი.

რაც შეეხება გაცვლას, ერთი დოლარის გაყიდვა 63,55, ხოლო ყიდვა 67,65 რუბლად, შესაბამისად ევროს გაყიდვა — 70,55 ხოლო ყიდვა 75,05 რუბლადაა შესაძლებელი.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ანდრეი ბელოუსოვის განცხადებით, რუსეთის ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვის მოცულობა არ იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს რუბლის კურსის შენარჩუნება, როგორც ეს 2013 წელს განხორციელდა.

სავალუტო რეზერვი დღეს მხოლოდ 300 მილიარდი დოლარია, აქედან 120 მილიარდი მთავრობის რეზერვია, ხოლო დანარჩენი თანხა მხოლოდ 9 თვის განმავლობაში იქნება საკმარისი, რაც ფაქტიურად მინიმალური ზღვარია. იგი რუბლის კატასტროფულ ვარდნას ნავთობზე ფასის დაცემას უკავშირებს.

ამასთან, ექსპერტები რუბლს „საშინელ კვირას“ უწინასწარმეტყველებენ, მით უმეტეს, თუ კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში კიდევ უფრო გამწვავდება.

ასეთ შემთხვევაში, რუსეთს, რომელიც მფარველობს დონეცკელ და ლუგანსკელ სეპარატისტებს, კვლავ მოუწევს გაუთვალისწინებელი სამხედრო თუ სხვა ხარჯების გაწევა მათ დასახმარებლად, რამაც რუბლის დაცემა 1 დოლარი — 67 რუბლზე დაბლაც დასწიოს.

ამ ფონზე, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი ვარდნას განაგრძობს. „ბერნტის“ ტიპის საწვავი 0,91%-ით შემცირდა და 48,74 აშშ დოლარი შეადგინა ბარელზე. რაც შეეხება „ვტი-ს“ ტიპის საწვავს, მისი ფასი 1,48%-ით შემცირდა და 41,87 აშშ დოლარი გახდა.

სააგენტო „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ფასების კლების მიზეზია ის შიშები, რომ ნავთობის მიწოდება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მოთხოვნას საერთაშორისო ბაზარზე. ამას ისიც ემატება, რომ საერთაშორისო ბაზარზე ირანი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს დაიკავებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## fcnhjghjuyjpb

### 20 აგვისტოსათვის



**ვერძი** — თქვენი ენერგიულობა და მიზანდასახულობა გარშემომყოფებს ოპტიმისტურად განაწყობს. მოსალოდნელია ახალი გატაცება. შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. **კურო** — მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. თუ ყველაფერს სწორად დაგეგმავთ, წარმატება არ დააყოვნებს. საქმიანი შეხვედრები დღის პირველ ნახევარშია სასურველი. **ტყუპები** — შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. ფიზიკური აქტივობა დღეს ძალიან სასარგებლო იქნება. საღამოს ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. შანსი გეძლევათ, შექმნათ რაღაც უჩვეულო. ზებუნებრივი ძალები გმფარველობენ. **ლომი** — აქტიური დასვენება დღეს ძალიან გჭირდებათ. თქვენი ჰობი, შესაძლოა, შემოსავლის ახალ წყაროდ გექცეთ. პლანეტა ვენერას მფარველობით საპირისპირო სქესი თქვენით ინტერესდება. **ქალწული** — თქვენი ენერგიულობა და მიზანდასახულობა გარშემომყოფებს ოპტიმისტურად განაწყობს. მოსალოდნელია ახალი გატაცება. შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. **სასწორი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. სავარაუდოდ, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდებათ. დღის ნეგატიურ ტენდენციას თქვენი ოპტიმიზმი დაჩრდილავს. **ღრიანკალი** — ძალიან კონფლიქტური დღეა. მაქსიმალურად ერიდეთ არაკეთილგანწყობილ ადამიანებს. ალკოჰოლი საქმეს უფრო გაამწვავებს. უმჯობესია, თუ მყუდრო გარემოში განმარტოვდებით. **მშვილდოსანი** — შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. ფიზიკური აქტივობა დღეს ძალიან სასარგებლო იქნება. ოჯახის წევრების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა გმართებთ. **თხის რქა** — აქტიურად დაისვენეთ. ფიზიკური დატვირთვა გუნება-განწყობას საგრძნობლად გაგიუმჯობესებთ. თქვენი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. **მერწყული** — საკმაოდ კარგი დღე გაქვთ წინ. დაოჯახებულებს მეუღლისგან სასიამოვნო სიურპრიზი გელით. იყავით წინდახედული. **თევზები** — მომავალს შიშით შეჰყურებთ, თუმცა ამის საფუძველი არ გაქვთ. სულ მალე ოცნება აგიხდებათ. თქვენი იდეების რეალიზაციას უპრობლემოდ მოახერხებთ.

უბცევდტ,ს ,ტცყბტვ ცქტს=

## h3xცეxვცბ ,



**შვეულად:** 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი, ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქერის პური; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. სვლის მიმართულება, გეზი.

**თარაზულად:** 1. კუთხე საქართველოში; 5. ძველებური კაჟიანი თოფი; 7. მოხალისეთა ჯარი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთში; 10. გემის სამზარეულო; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 20. მსახიობის პატივსაცემად გამართული სპექტაკლი; 21. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. მთიანეთი აზიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ობყფ ყჯვბპიბ უფვჯმდბ.ყბ,ეკბ რპჯცდჯპლბ,ბც გფცე[ბ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფაგოტი; 2. ხამონი; 3. ბოლივუდი; 4. ტრიუმი; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. პასადენა; 12. მუშაითი; 16. ჰალვა; 17. ქანდა; 18. ნაიკი.

**თარაზულად:** 1. ფერხისა; 5. კაკაო; 7. კონკური; 9. ოოლოგია; 10. მურილიო; 13. სანდალი; 14. კაზუსი; 15. შუმი; 19. ვახშამი; 20. რაფინადი; 21. ნაფტალინი; 22. ზაპესი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რულადა; 2. საკურა; 3. ენოლოგია; 4. ელიავა; 6. თიკანაძე; 8. ოდისეა; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. ბრერა.

**თარაზულად:** 1. რაფსოდი; 5. ქართუ; 7. ენისელი; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. ლადიძე; 15. ბანა; 19. გუდიარი; 20. კლიასერი; 21. ქაფიანიძე; 22. ჯორჯია.

# ნინი წიკლაური საქართველოდან წავიდა

ეკა ირემაშვილი

**საქართველოდან წასულ ქართველ ხელოვანთა არმიას მომღერალი ნინი წიკლაურიც შეუერთდა. „ჯეოსტარის“ აღმოჩენა საქართველოდან წავიდა. მომღერალმა ეს გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მიიღო და საბოლოოდ სისრულეშიც მოიყვანა. ნინი ამჟამად ამერიკაში იმყოფება და თავისი გეგმების განხორციელებამდე სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს.**

მომღერლის თქმით, ის უკვე რამდენიმე ადგილას მუშაობს და დასახული მიზნისკენ ნელა, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს.

**ნინი წიკლაური:**

— ამჟამად ჩემს უახლოეს მეგობართან, ჩემს დასთან ნინი შერმადინთან ვცხოვრობ, ხანაც ჩემს ნათესავებთან. ამერიკაში პირველად არ ვარ, ეს ჩემი მეოთხე ვიზიტია, ამჯერად გეგმები მაქვს და მათ განსახორციელებლად დროებით აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე. საქართველოს დატოვებას არ ვფიქრობდი და არც ახლა ვფიქრობ. როგორც კი ჩემს მიზანს მივაღწევ, უმალ დავბრუნდები. იმდენად მიყვარს ჩემი ქუჩა, პატარა სახლი, იტალიური ეზო, სადაც ვცხოვრობ, ჩემი ბალიშიც კი, რომ ძალიან მიძნელდება უცხო ქვეყანაში და უცხო ბინაში ცხოვრება, თუმცა გაუსაძლისი არაფერია, თან მაშინ, როცა ამას მიზნისთვის აკეთებ. ჩემი ქვეყანა კი განსაკუთრებულად მიყვარს.

***— ამერიკაში გაქვთ უკვე შეთავაზებები?***

— უკვე ვმუშაობ რამდენიმე ადგილას. წინა ჩამოსვლების დროს ამერიკით დავტკბი, ახლა ვმუშაობ, მაგრამ როცა თავისუფალ დროს მოვნახავ, ფეხით ვსეირნობ და ვიკლავ ჩემი ქვეყნის წყურვილს, ეს მეთოდი მშველის. საბედნიეროდ, ამერიკაში ბევრი ჩემი ახლობელია და შეძლებისდაგვარად ნელ-ნელა ვნახულობ ყველას.

***— სხვადასხვა კონკურსებში აქტიურად მონაწილეობდით. რას გაძლევს ეს კონკურსები?***

— ჩემთვის კონკურსები იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან მთავარი გამარჯვება არაა, მთავარი ხალხის სიყვარულია და ის ნაწილი ადამიანების, რომლებიც ამ კონკურსების შემდეგ შევიძინე და ჩემი ერთგული მსმენელები გახდნენ, ჩემთვის დიდი განძია. მართალია, ძალიან რთულია იდგე კონკურსზე, სადაც შენი უახლოესი მეგობრები არიან და ეს ჩემთვის შინაგანად დამანგრეველია, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი პლუსი ისაა, რომ არსად აუცილებლად მოსაგებად არ მივდივარ. მივდივარ იმიტომ, რომ სიამოვნება მივიღო და ვიმღერო, ამიტომ, ასეთი კუთხით მიდგომა მიადვილებდა იქ ყოფნას, თუმცაღა ეს იყო ადრე... ახლა ვთვლი, რომ დავამთავრე კონკურსობანა და რაც შეეხება შეჯიბრს, მე არასოდეს შევჯიბრებივარ ჩემს კოლეგებს, მე იქ, კიდევ ვიმეორებ, სიამოვნების მისაღებად გამოვდიოდი და ამას ბევრი გრძნობდა.

***— ქართული შოუბიზნესი მართლა მკვდარია?***

— არ ვფიქრობ მასე, რადგან ჩემი ბევრი მეგობარი, რომელიც შოუ-ბიზნესშია, ყოველდღე მუშაობს, ისინი აკეთებენ და ქმნიან ახალ პროდუქტს. მაგალითად, ანრი ჯოხაძე, რომელიც სულ მოძრაობს და სულ ცდილობს, ახალი და ახალი სიმღერები თუ ვიდეოები შემატოს ქართულ სივრცეს და ეს ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს. ის ჩემთვის მაგალითია, მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა გაჩერდე მუსიკოსი და სულ მუსიკალურ წვაში იყო. შოუ-ბიზნესი ზუსტად ასეთი ადამიანების მხრებზე დგას და სანამ ასეთები იარსებებენ, ის არასოდეს მოკვდება.

***— სიმღერის გარდა რა შეგიძლიათ?***

— სიმღერის გარდა თვითონ ვწერ, დიდს არაფერს, მაგრამ მალე მოისმენთ ჩემ მიერ შექმნილ სიმღერას, რომელსაც არაჩვეულებრივი მომღერალი თიკა მახალდიანი ასრულებს. სიმღერა ჩაწერის პროცესშია და მას მალე შეაფასებს ქართველი საზოგადოება. კიდევ ბევრი რამის კეთება გამომდის. ყველაზე უკეთ კი მათემატიკა და ანგარიში.

***— დამდგარხართ არჩევანის წინაშე, კარიერა თუ ოჯახი?***

— არა, მაგრამ რომ დავდგე, აუცილებლად ოჯახს ავირჩევ. ერთი წუთითაც არ დავფიქრდები ამაზე, რადგან ოჯახი იმაზე მეტია, ვიდრე კარიერა, რომელიც არ იცი რა წამს შეიძლება



დასრულდეს.

***— რა არის თქვენი პროგრამა მაქსიმუმი?***

— პროგრამა მაქსიმუმი მშვიდი ოჯახი და შვილებია.

***— როდის დაბრუნდებით საქართველოში?***

— საქართველოში მაშინ დავბრუნდები, როცა ჩაფიქრებულ მიზანს მივაღწევ. არც თუ ისე მარტივია, მაგრამ ამისთვის თავს არ დავიშურებ.

# გიგა კვენეტაძე ბიჭის მამა გახდა



რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი გიგა კვენეტაძე ბიჭის მამა გახდა. მისი პატარა 18 აგვისტოს მოევლინა ქვეყანას. ბავშვის დედა მომღერლის საყვარელი ადამიანი მარიანა კარამოვაა.

გიგა უკვე წლებია მოსკოვში ცხოვრობს, ის დათო ხუჯაძის ხმის ჩამწერ სტუდიაში მუშაობს და სიმღერებს რუსული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავებისთვის წერს. მის სიმღერებს ასრულებენ ვალერია, ა სტუდიო.

გიგა რუსეთში 7 წლის წინ ნინო წიკლაურთან ერთად წავიდა. მაშინ წყვილი ხმამაღლა საუბრობდა, რომ შეყვარებულები იყვნენ და ცოლ-ქმრის ამპლუაც მოირგეს, თუმცა მოგვიანებით ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და ორივემ თავისი ცხოვრების მეგზური იპოვა. ნინო წიკლაურიც გათხოვდა და გიგამაც საყვარელი ადამიანი შორეულ რუსეთში აღმოაჩინა.

გიგა და მარიანა ოფიციალურად დაქორწინებულები არ არიან, მაგრამ ეს მათ ურთიერთობას ხელს სულაც არ უშლის. მათი სიყვარულის ნაყოფი უკვე ორი დღისაა და დედასთან ერთად თავს კარგად გრძნობს.

მამად გახდომის ბედნიერება გიგა კვენეტაძემ სოციალურ ქსელში ყველას საჯაროდ გაუზიარა:

— მამა გავხდი! დიდი მადლობა ჩემო ძვირფასო მარიანა!

გიგას ამ განცხადებას სოციალურ ქსელში უამრავი მოწონება, კომენტარი და საუკეთესო სურვილები მოყვა, რასაც ბედნიერმა მამიკომ გულწრფელი მადლობებით უპასუხა.

ეკა ირემაშვილი

# ნინო ჩხეიძის რადიოს პრობლემები შეექმნა

მომღერალ ნინო ჩხეიძის რადიოს პრობლემები შეექმნა. როგორც მისი მეუღლე გიორგი კორახაშვილი გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს, რადიო „აფხაზეთის ხმა“ ანძიდან გაითიშა.

გიორგი კორახაშვილი:

— დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ დემოკრატიული ღირებულებების ნგრევის საქმეში, რადიო „აფხაზეთის ხმა“ გათიშა ანძებიდან ბანალური მიზეზებით! საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო, შემცირებულია სარეკლამო შემოსავლები, შესაბამისად, ორგანიზაციას შეექმნა ფინანსური პრობლემები.

მცირედი დავალიანების გამო, ანძამ შეწყვიტა რადიო „აფხაზეთის ხმის“ მაუწყებლობა, რაც პირდაპირ დარტყმას აყენებს თავისუფალი აზრის და სიტყვის გამოხატვას! მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ აღადგინოს მაუწყებლობა და მოგვცეს ვადა ანძის დავალიანების დასაფარად!

ეკა ირემაშვილი

სპორტი

# რაფა ბენიტესი: ბერნაბეუ“ ჩვენი თამაშით ისიამოვნებს

ესპანეთის პრიმერა მალე აიღებს სტარტს. ლა ლიგა ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს და როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, საჩემპიონო ბრძოლა ამჯერადაც მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის წარიმართება.

მოახლოებულ სეზონთან დაკავშირებით ესპანურ მედიაში „რეალის“ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***— ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება ძველ გუნდში დაბრუნებასთან დაკავშირებით?***

— არა, მე მადრიდელი ვარ. აქ გავატარე წლები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონია ჩემს ჩამოყალიბებაში. ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა სწორედ ამ კლუბს უკავშირდება. თამაშების დაწყებამდე 2 საათით ადრე ვაპირებ მისვლას „ბერნაბეუზე“ მეგობრებთან ერთად, რათა ვიპოვოთ ის ადგილი მესამე იარუსზე, საიდანაც ვუყურებდით ხოლმე „რეალის“ მატჩებს.

***— თქვენ მოხვდით კლუბში, სადაც მოკლევადიანი მიზნები უბრალოდ არ არსებობს.***

— მე ამ ქალაქში გავიზარდე, ჩემი განათლებაც მადრიდში შევიძინე. მესმის, თუ რამხელა ამბიცია გააჩნია ამ კლუბს და ვიღებ გამოწვევას. კარგად ვხვდები, რომ სეზონის მე-2 ადგილზე დასრულება აქ წარუმატებლობად ითვლება. ყველაზე მთავარი, რაც უნდა გავაკეთოთ, გუნდში ბალანსის პოვნაა. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი გუნდი, რომელიც სეზონის განმავლობაში მაქსიმალურად დაიხარჯება და მაისში კვლავ შეძლებს შეტევას და მნიშვნელოვანი მატჩების მოგებას.

***— ისეთი გუნდის მწვრთნელი, როგორიცაა „რეალი“,ვალდებულია ესმოდეს გულშემატკივრების და შეძლოს მათი პრეტენზიებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება.***



— ვიმედოვნებ, რომ სტადიონი კარგად მიმიღებს. „სამეფო კლუბს“ გონიერი გულშემატკივრები ჰყავს. მე ვიცი რა უნდა პუბლიკას — მაღალი ხარისხის ფეხბურთი და გამარჯვება. ისინი აფასებენ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მოედანზე ბოლომდე იხარჯებიან და ცდილობენ თავიანთი მაქსიმუმის გამოვლენას. ჩვენ ვცდილობთ შემტევი და ლაღი ფეხბურთი ვითამაშოთ. საშინლად არ მომწონს, როდესაც მატჩი ნულოვანი ფრით მთავრდება. ყველა გუნდს გააჩნია საკუთარი დონე, „რეალი“ კი დგას საკმაოდ მაღალ დონეზე იმისათვის, რომ ყოველთვის გაიტანოს გოლები და უმეტეს შემთხვევაში მშრალად შეინახოს კარი. ვფიქრობ, რომ „ბერნაბეუ“ ჩვენი თამაშით ისიამოვნებს.

***— მოგწონთ ბეილის ცენტრში თამაშის იდეა?***

— ჩვენ გვყავს ისკო, ხამესი, ბენზემა, ბეილი, რონალდუ,... ისინი ინტენსიური შეტევის სტილს ანიჭებენ უპირატესობას. ყველა მათგანს მოუწევს ხანდახან პოზიციის შეცვლა, მათ შორის ცენტრში გადანაცვლებაც. ჩვენთვის მთავარია მათი მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირება. მაგალითად: ბეილი ძალიან კარგია შეტევაში, როდესაც მას აქვს სივრცე გასაქცევად. ისკოსა და ხამესს შეუძლიათ ბურთის კარგად დაჭერა მოედნის ცენტრში და ფლანგებს შორის სწრაფად გადაადგილება. კრიშტიანუს უყვარს ფლანგიდან შეჭრა, ბენზემა კი კარგად მოძრაობს და შეუძლია ბურთის მიღება. მათ აქვთ გადაადგილების სრული თავისუფლება მოედანზე. მათ უნდა ითამაშონ იმ პოზიციაზე, სადაც ყველაზე მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიათ და ყველაზე კომფორტულად გრძნობენ თავს.

***— ფიქრობთ თუ არა ახალი ფორვარდის შეძენაზე, რომელსაც ბენზემასაგან განსხვავებული თვისებები ახასიათებს?***

— ალტერნატივების ყოლა, მიუხედავად პოზიციისა, ყოველთვის გამოსადეგია. მაგალითად, გუნდში ირიცხებიან ისეთი ნახევარმცველები, რომლებსაც სხვებზე უკეთესად შეუძლიათ შეტევის ჩაშლა, მაგრამ გვყავს მოთამაშეებიც, რომლებიც უკეთესად ამწვავებენ სიტუაციებს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ფეხბურთის როგორი სტილით გვიწევს თამაში. ნებისმიერი ფეხბურთელის შეცვლა შეიძლება იყოს მომგებიანი კონკრეტულ სიტუაციაში. ანალოგიურის თქმა შეიძლია თავდამსხმელებზეც. ბენზემა ბრწყინვალე ფეხბურთელია. მიმდინარე სეზონში ჩემი ერთ-ერთი მიზანია მას დავეხმარო 20-25 გოლიანი ბარიერის გადალახვაში. მჯერა, რომ ის საკმარისად ძლიერია ამისათვის. რაც შეეხება ალტერნატიულ ფორვარდს, გუნდში გვაქვს საკმარისი რესურსი იმისა, რომ შევქმნათ განსხვავებული თვისებების მქონე თავდამსხმელი. მაგალითად, კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც უჩვეულოდ თამაშობს თავზე.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

## დღეს ხომ შენი დაბადების დღეა!



ზაფხულის ამ ლამაზ დღეს სიყვარულით გილოცავდით. 9 წელია გაუფერულდა და ტკივილიანი გახდა 20 აგვისტო. დრო ყველაფრის მკურნალიაო, არ ყოფილა მთლად ასე. დრომ გვაიძულა შევეგუოთ უშენობას.

ცრემლითა და ყვავილებით შევამკობთ შენს სამყოფელს, სადაც სახელი

**ვალინა გოგუა-გოგია**

არის ამოტვიფრული.

უზომოდ გვენატრები და ამ მონატრებას შენს წმინდა საფლავთან ვუნთებთ სანთელს.

შენი ოჯახი

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვზბქტ,ფ
.ჯდტკლქჩ7 რდბჰზც უფჰლფ7
!@–ლფყ!&ცფფლფვლტ8

# TV პროგრამა

ხუთშაბათი
20 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ **"მეცამეტე მოციქული"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **16.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ. **"გარეუბანი"** (ტ.ჰენკსი) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **21.30** მხ/ფ. **"ჯეინ ეარი"** **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ. **"სულიერი სამზარეულო"**

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ინკების მარილი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10, 19.00, 22.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **11.00** დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისთვის" **12.00** მხ/ფ **"იტალიის კონსული"** **13.30** დ/ფ "გერმანია" **14.00** დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **16.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **18.00** დ/ფ "ევა ჟოლი" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** ქართული დოკუმენტალისტიკა – მონაპირე ქართველები **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"მძარცველები"**

**07.30** სერ. **"მერლინი"** **08.30** სერ. **"კარმა"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **4** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30,** ქრონიკა **11.20** სერ. **"ბოშა ქალი"** **12.30** შალვა რამიშვილის შოუ **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-3"** **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ **"ეჭვქვეშ"** **01.40** მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"** (ჩ.პალმინტერი) **03.40** მხ/ფ **"ოჯახური გეგმა"** (ლ.ნილსენი)

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** მარაო **23.30** ქალთა სახეები **00.00** სერ. **"გრიმი"** **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი "ქართული და სომხური ეკლესიების ისტორია" **06.40** პატერიკი-როგორ აცხოვნა ბერმა თავისი მოწაფე" **06.50** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **07.05** ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა-დავით ღამბაშიძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ.ფ **"კეროტის თავგადასავალი"** **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი "მართლმადიდებლობა თანამედროვე მსოფლიოში" **11.30** ეპოქის სახელები "იური ანუა" **12.10** მხ/ფ **"ფესვები"** **13.35** ღვთის სახლი (აფხაზეთი) გალის მუნიციპალიტეტი-იმედის ხიდი **14.50** დოკ. ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.05** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა" **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** კონცერტი **16.55** სალვთისმეტყველო საუბრები "წმინდა ძმები კარბელაშვილები" **17.35** ჩვენი ფონდი "თამარ ქორიძე-წნინდა მოწამენი არჩილი და ლუარსაბი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მერვე მცნება **18.10** მულტ. ფ **"ვინი პუჰი"** **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ლადო ათანელი" **20.00** დოკ. ფილმი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ოლღა გურამიშვილი" **22.25** კარაბადინი "ციტო --ურტიკარია ჭინჭრის ციება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ქურდიანები" **00.30** ქართული ალბომი "შალვა გაბესკირიას ოჯახი"

მაესტრო **7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 03.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია **"კუნგფუს ოსტატი"** **08.30 სერიალი "კარმა"** **10.00 სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **12.30 სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.35 სერიალი "დაკარგული დრო** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.00 სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "ბელადის ვაჟი"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **00.30 სერიალი "კარმა"** **02.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3214

ევრო — 2.5677

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6465

100 რუსული რუბლი — 3.5373

## ამინდის პროგნოზი 20 აგვისტოსათვის






## კალეიდოსკოპი

### სპილბერგი 184 მილიონიან იახტას ყიდის



ამერიკელმა რეჟისორმა და სცენარისტმა სტივენ სპილბერგმა გადაწყვიტა გაყიდოს თავისი იახტა სევენ სეისი, რომელიც მან რამდენიმე წლის წინ 184 მილიონ დოლარად იყიდა.

სპილბერგის თქმით, 86 მეტრი სიგრძის იახტა მისთვის მეტისმეტად პატარაა. მის სანაცვლოდ ის ახალი 9 მეტრით უფრო გრძელი იახტის ყიდვას აპირებს, რომლის ფასი 245 მილიონი დოლარია.

გასაყიდად გამოტანილ იახტაზე არის აუზი, შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი, ოთახი მასაჟისთვის და სპორტდარბაზი, ასევე დიდი ფანჯარა, რომლის ტელევიზორის ეკრანად გამოყენება შეიძლება. იახტის ამჟამინდელი ფასი არ სახელდება. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ იახტის ერთი კვირით დაქირავება 1,2 მილიონ დოლარზე მეტი ჯდება.

2013 წელს სპილბერგმა ამ იახტით მეგობრებთან ერთად დედამიწის გარშემო იმოგზაურა.

### ლუდი ყველაზე ძვირი ჟენევაშია



შვეიცარიის ქალაქი ჟენევა მსოფლიოში ლუდის სიძვირის მიხედვით ქალაქების რეიტინგში პირველ ადგილზეა.

გამოკვლევების შედეგად, რომლის დროსაც ერთმანეთს უდარებდნენ 5 ყველაზე პოპულარული მარკის ლუდის ფასს, ასევე ერთი ადგილობრივი ხარისხის ლუდის ფასს, დადგინდა, რომ მსოფლიოს 75 ქალაქს შორის სიძვირის მიხედვით ლიდერობენ ჟენევა, ჰონკონგი და თელ-ავივი.

გამოკვლევის ავტორები ლუდის ფასებს ადარებდნენ ბარებსა და მაღაზიებში და მათი ჯამით საშუალო ფასი გამოჰყავდათ. ჟენევაში ლუდის საშუალო ღირებულებამ 6,32 დოლარი შეადგინა. 10,77 ბარში და 1,87 დოლარი სუპერმარკეტში.

ყველაზე იაფი ლუდი კი კრაკოვში აღმოჩნდა, სადაც მისმა საშუალო ფასმა 1,66 დოლარი შეადგინა.

### აუქციონზე ყველაზე ძვირადღირებული ავტოკოლექცია გაიყიდა

ამერიკის ქალაქ პებლ-ბიჩში (კალიფორნიის შტატი) აუქციონზე იშვიათი ავტომობილების კოლექცია გაიყიდა. აღნიშნული ვაჭრობა სოტბის აუქციონის სახლმა გამართა.

22 ავტომობილი 67 მილიონ დოლარად გაიყიდა. ლოტების თავდაპირველი შეფასება 65 მილიონს შეადგენდა.



კოლექციის მფლობელის ვინაობა უცნობია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ის აშშ-ს მოქალაქეა და მანქანებს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აგროვებდა.

ამ კოლექციაში ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი გამოდგა 1964 წლის ფერარი 250 ლმ-ი, მასში 17,6 მილიონი დოლარი გადაიხადეს. მეორე ადგილზე ღირებულების მიხედვით მაკლარენ ფ1 ლმ ვერსიის გავიდა, რომლებიც მსოფლიოში მხოლოდ ხუთი ცალია დარჩენილი. ის 13,55 მილიონ დოლარად გაიყიდა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია მაკლარენისთვის. ღირებულების მიხედვით მესამე ადგილზე აღმოჩნდა ენცო ფერარი — 6,05 მილიონი დოლარი.

კოლექციის რამდენიმე მანქანა არ გაიყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## დიდუბის კალათბურთის დარბაზში ზაზა ფაჩულიას სახელობის აკადემია გაიხსნება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიას 50-წლიანი მმართველობის უფლებით დიდუბის საკალათბურთო კომპლექსი გადაეცა. ახლო მომავალში დიდუბის, ეგრეთ წოდებულ „მანეჟში" ზაზა ფაჩულიას საკალათბურთო აკადემია გაიხსნება.

ეროვნული ნაკრების კაპიტანს დარბაზი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადასცა. „მანეჟში" ასევე მივიდნენ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები და ეროვნული ნაკრების წევრები.

მთავრობის მეთაურმა საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელებთან ერთობლივი სამახსოვრო ფოტოც გადაიღო, შეხვედრის მიწურულს კი ზაზა ფაჩულიამ პრემიერს, ნაკრების სახელით, საჩუქრად კალათბურთის ბურთი გადასცა.

აღსანიშნავია, რომ ზაზა ფაჩულიას წლების განმავლობაში სურდა საქართველოში ნბა-ს სტანდარტების აკადემიის გახსნა, რაც დღეისათვის უკვე რეალობად იქცა. შეთანხმების მიხედვით, აკადემია მოამზადებს ბავშვებს სხვადასხვა კლუბებში, ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ, აკადემიაში ნბა-ს სტანდარტების მიხედვით ტრენინგებს გაივლიან ქართველი მწვრთნელები ამერიკელი და თურქი მწვრთნელების მეთვალყურეობით.



სპორტული შენობა ამჟამად თბილისის მერიის ბალანსზეა, რომელიც 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში გარემონტდა და კეთილმოეწყო. ბაზაზე ფუნქციონირებს კალათბურთის 4 დარბაზი, სასტუმროს ტიპის ნომრები სპორტსმენებისთვის, მანეჟი სარბენი ბილიკით, სადაც განთავსდება ტრენაჟორები და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ ფაჩულიასათვის საკალათბურთო ბაზის გადაცემა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია სპორტის მიმართულებით. ეს გადაწყვეტილება ასევე უმნიშვნელოვანესია საქართვე-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ანრი ჯოხაძე ახალ კლიპს იღებს



მას შემდეგ, რაც ანრი ჯოხაძეს შრომა დაუფასდა და სიმღერისა და კლიპისთვის „განა ყველა ქალი ქალია" „ოქროს ტალღის" გამარჯვებული და 5 ათასის მფლობელი გახდა, მომღერალმა გადაწყვიტა, ტემპი არ დააგდოს და სიახლეები უწყვეტად შესთავაზოს თავის ერთგულ მსმენელს.

მომღერალი ზაფხულის დასვენებას და ახალ კლიპზე მუშაობას ერთმანეთს უთავსებს და აქტიურად მუშაობს. ის თაყვანისმცემლებს თავის ვიდეო რგოლს სიურპრიზის სახით შესთავაზებს.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ანრია ის ერთ-ერთი თუ ერთადერთი არა, ქართველი მომღერალი, რომელზეც არანაირი ფინანსური კრიზისი თუ სხვა დაბრკოლებები არ მოქმედებს და ყოველთვის ჯიუტად მიიწევს წინ თავის კარიერაში მეტი და მეტი სიახლეების შესატანად.

მომღერლის გადაწყვეტილებით, მისი ახალი კლიპი იქმნება ყველასთვის ცნობილ სიმღერაზე „ტირიფები". გადაღებები აჭარაში მიმდინარეობს. შავი ზღვისპირეთში მომღერალი შემოქმედებით გუნდთან ერთად მუშაობს.

ანრის კლიპში მოდელი კრისტი ყიფშიძეც მონაწილეობს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია. მომღერლის გადაწყვეტილებით, ახალი კლიპის პრემიერა შემოდგომაზე, ახალ სატელევიზიო სეზონზე გაიმართება.

ეკა ირემაშვილი

## იუმორი



ცოლი ქმარს ეუბნება:

— მომწყინდა ამდენი ერთფეროვნება, რამე ისეთი მინდა გავაკეთო, რაც არასოდეს გამიკეთებია.

— მართლა?! მაშინ შარვალი გამიუთოვე.

●●●

ბაზარში მოხუცი ქალი კარტოფილს ყიდულობს. გამყიდველი ეკითხება:

— ბებია, რამდენი კილო გინდა?

— ხუთი, შვილო, მაგრამ მეშინია, მაგ სიმძიმის სახლამდე მიტანას ვერ შევძლებ.

— ბებია, შენ ნუ გეშინია, ისე აგიწონი, რომ შეძლებ.

●●●

მდინარეზე წყლის მოსატანად წასულმა ქალმა სათლი წყალში ჩაჰყო და წყალს ოქროს თევზი ამოჰყვა. თევზი ეუბნება:

— გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ.

— კარგი, — უპასუხა ქალმა, — მინდა ჩემი სახლი სასახლედ გადაიქცეს, მე ახალგაზრდა და ლამაზ გოგონად, ხოლო ჩემი კატა შესანიშნავ ყმაწვილად.

ქალმა თევზი წყალში დააბრუნა და სახლისკენ გაემართა. ხედავს, სახლის ნაცვლად სასახლე დგას, სარკეში ჩაიხედა და ხედავს, რომ ახალგაზრდა და ლამაზია. ამ დროს მასთან მშვენიერი ყმაწვილი მივიდა. ქალი ეუბნება:

— ჩემო ფისუნია, ნუთუ ეს შენ ხარ?

— მე ვარ, მე, მაგრამ ახლა არ ინანებ, შარშან ჩემი თავი რომ დააკოდინე?

●●●

ახალგაზრდა ქალმა პოლიციელთან მიირბინა და ეუბნება:

— მიშველეთ, ჩემი გაუპატიურება უნდათ!

— ვის?

— ვიღაც მანიაკს?

პოლიციელმა ქალი გულდასმით შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:

— ბრმა ყოფილა ის საცოდავი...

●●●

ქალი სასწრაფოში რეკავს:

— ალო, ბავშვს კალამი გადაეყლაპა...

— კარგით, ათ წუთში მანდ ვიქნებით.

— მანამდე რა ვქნათ?

— ფანქრით წერეთ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 2. „სამანიშვილის დედინაცვლის" პერსონაჟი; 3. მართლმადიდებელთა რელიგიური წმინდა წიგნი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 6. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 8. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ბრტყელი ლოკოკინა; 12. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 16. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

**თარაზულად:** 1. ზღვის ბრტყელი თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს; 5. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 7. ძველებური ქართული ბასრწვერიანი საბრძოლო იარაღი; 9. გრძელ დისტანციაზე მოასპარეზე მძლეოსანი; 10. წმინდა ოქრო; 13. სწრაფად მზარდი ტროპიკული მცენარე; 14. მონასტერი ადიგენის რაიონში; 15. გაწყალებული ღვინო; 19. ექიმის სპეციალობა; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. ბოშათა წინამძღოლი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

